

„საჯარო მმართველობის“, „სამართლის“, „დაწყებითი განათლების“ საბაკალავრო და „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსისა და პრაქტიკის შეფასების შემუშავების ინსტრუქცია:

სილაბუსში მიეთითება:

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
2. სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება
3. სასწავლო კურსის სტატუსი
4. სასწავლო კურსის განმახორციელებელი
5. კურსის კოდი
6. სასწავლო კურსის ფორმატი მოიცავს კრედიტების რაოდენობას, საკონტაქტო საათების რაოდენობას, მათ შორის საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად.

სტუდენტის დატვირთვა მოიცავს:

- ა) ლექციაზე დასწრებას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას
- ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას
- გ) სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებით ან საწარმოო პრაქტიკას
- დ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას
- ე) სასწავლო–სამეცნიერო (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, საბაკალავრო) ნაშრომზე მუშაობას
- ვ) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომის დაცვასა და გამოსაქვეყნებლად მომზადებას
- ზ) კლინიკაში მუშაობას
- თ) პრეზენტაცია/რეფერატზე, შემოქმედებით პროექტზე მუშაობას
- ი) სხვა დატვირთვას, რომელიც გათვალისწინებულია სწავლის შედეგებით
7. სასწავლო კურსის სამიზნე ჯგუფი
8. სასწავლო კურსის მიზანი
9. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა მოიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლების კვირათა რაოდენობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგს.
10. სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები
11. სწავლის შედეგი
12. სასწავლო კურსის შინაარსი
13. სწავლებისა და სწავლის მეთოდები
14. შეფასების სისტემა
15. შეფასების კომპონენტები
16. შეფასების მეთოდები
17. შეფასების კრიტერიუმები
18. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა

1. „საჯარო მმართველობის“, „სამართლის“, „დაწყებითი განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებისთვის

სილაბუსის ნიმუში:

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: XXXX XXXXX

კურსის სახელწოდება: XXXX XXXXX

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო ან არჩევითი

კურსის განმახორციელებელი: XXX XXXX, აკადემიური თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია

კურსის კოდი: XXXX

სასწავლო კურსის ფორმატი: საკონტაქტო XX საათი, მათ შორის ლექცია XX საათი, ჯგუფში მუშაობა XX საათი, შუალედური გამოცდა XX საათი, დასკვნითი გამოცდა XX საათი. მეჩვიდმეტე კვირის შესასრულებელი აქტივობა XX საათი, დამოუკიდებელი მუშაობა XX საათი.

სასწავლო კურსის სამიზნე ჯგუფი: მიეთითება, ვისთვისაა განკუთვნილი აღნიშნული კურსი. (რომელი სპეციალობის რომელი სემესტრის სწავლებისთვის).

სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი: მიზანში უნდა გაიწეროს რას ემსახურება კურსი, რა მიზანს უნდა მიაღწიოს, რა დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების განვითარებას გეგმავს ის სტუდენტებში, რა პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიცემას ისახავს მიზნად კონკრეტულ სფეროში.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: მოიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლების კვირათა რაოდენობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგს.

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები: მიეთითება ცალკეული კურსები, რომლებიც ამ წინამდებარე კურსის გავლის წინაპირობაა.

სწავლის შედეგი: შედეგში უნდა აისახოს დარგის ფარგლებში რა თეორიულ ცოდნას მისცემს აღნიშნული კურსი, კურსის რა ძირითადი საკითხები ეცოდინება სტუდენტს კურსის გავლის შემდეგ, კურსის სწავლების განმავლობაში რა ზოგადი უნარები (ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციის, ლოგიკური დასკვნის, ანალიტიკური აზროვნების, წერის, დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევისა და კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების....) შეიძლება განუვითარდეს სტუდენტს, აუცილებელია სტუდენტის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები შესაბამისობაში იყოს პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებთან.

სასწავლო კურსის შინაარსი:

რიცხვი, თვე, წელი

მოკლედ აღწერეთ ლექციის შინაარსი

ლიტერატურა

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: საჭიროა სწავლის მეთოდები შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, სწავლისა და სწავლების ისეთი მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ტრადიციული ლექცია, პრეზენტაცია, ქვიზები, ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა (ჯგუფური პროექტები, ჯგუფური პრეზენტაციები), პრაქტიკული მეცადინეობები, კოლოქვიუმები, ლაბორატორიული მუშაობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვა სწავლებისას.

სწავლების პროცესში გამოიყენება:

ლექციის გადაცემის (ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი);

დემონსტრირების მეთოდი - სასწავლო მასალის კარგად აღქმისათვის სტუდენტს მასალა მიეწოდება ვიზუალური (Power Point-ის) ფორმატით;

ახსნა-განმარტების მეთოდი- აღნიშნული მეთოდი გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. მასალის გადმოცემისას მოყვანილი ინება კონკრეტული მაგალითი (კაზუსი), რომლის დაწვრილებითი განხილვაც მოხდება მოცემული თემის ფარგლებში.

შეფასების სისტემა: შეფასება უნდა იყოს შემაჯამებელი. შეფასების 100 ქულიანი სისტემა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეფასების წესის მიხედვით განსაზღვრული.

შეფასების კომპონენტები:

ლექციაზე დასწრება _ 5 %

შუალედური გამოცდა _ 25% გამოცდა იქნება წერილობითი, ტესტირება, (თან დაერთოს შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ქულების გაწერით)

დასკვნითი გამოცდა _ 30% (საგამოცდო ტესტებისთვის საკითხები ქულების მითითებით, რომელთაგან შეირჩევა, ტესტის შემუშავების სასწავლო უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით, საგამოცდო 30 ქულიანი ტესტი ერთიანი გამოცდებისთვის, ასევე იმის მითითებით თუ რა შემთხვევაში ჩაეთვლება სტუდენტს კომპონენტი ჩაბარებულად).

დანარჩენი 40 ქულა ყოველი საგნის სილაბუსისთვის გაიწერება ინდივიდუალურად, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების განაწილების სისტემის მიხედვით და იმ მინიმალური ქულის მითითებით, რომლის მიღების შემთხვევაში სტუდენტს შესაბამისი აქტივობა ეთვლება ჩაბარებულად.მაგ.:

ჯგუფში მუშაობა /პრაქტიკული მუშაობა _ 30% **ზეპირი პრეზენტაცია, დისკუსია, კაზუსის ამოხსნა, შემთხვევის (სიტუაციის) ანალიზი, საშინაო დავალება, როლური და სიტუაციური თამაში, წერილობითი დავალება/ქვიზი , პრაქტიკული სავარჯიშო,** (მიეთითოს რა შემთხვევაში ეთვლება მას ჯგუფში მუშაობის ეს ქულა ჩაბარებულად სათანადო ქულების გაწერით).

პრეზენტაცია/რეფერატი/იმიტირებული სასამართლო პროცესი/დასკვნითი დავალებების შესრულება _ 10%

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა, აღნიშნულით დგინდება დასკვნით გამოცდაზე დაშვების მიზანშეწონილობა. დაწესებულება არ იზღუდება დაადგინოს დასკვნით გამოცდაზე დამატებითი პირობები, მაგალითად: გამოცდაზე დაშვების უფრო მაღალი ბარიერი, ასევე ცალკეული შუალედური კომპონენტის წარმატებით დაძლევა ან სხვა პირობის დაკმაყოფილება აქციოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

შეფასების მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, წერიითი გამოკითხვა

შეფასების კრიტერიუმები:

ლექციაზე დასწრება _ 5 ქულა, არ ნიშნავს სტუდენტის პასიურ როლს ლექციის პროცესში, ის ითვალისწინებს მის ჩართულობას ლექციის ინტერაქტიური ფორმატიდან გამომდინარე.

ლექციაზე დასწრება ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ქულები	შეფასების აღწერა
5	სტუდენტი სრულყოფილად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად იცის თემის გარშემო საკითხები, ლოგიკურად და თანმიმდევრულად აყალიბებს აზრს, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა
4	სტუდენტს არ აქვს დაშვებული არსებითი შეცდომები საკითხზე მსჯელობისას. მოყავს ფაქტები და არგუმენტები, მაგრამ ვერ აყალიბებს საკითხის პრაქტიკულ ღირებულებებს, იცავს რეგლამენტს, შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
3	სტუდენტს შეუძლია დმოუკიდებლად მსჯელობა, თუმცა ვერ ახერხებს მის არგუმენტირებს.
2	სტუდენტი არაზუსტად მსჯელობს, არ იცავს რეგლამენტს, არ შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
1	სტუდენტს აქვს მცდელობა მსჯელობის, თუმცა ვერ მიყავს ბოლომდე.
0	სტუდენტი არ მონაწილეობს დისკუსიაში

ლექციაზე დასწრება – 5 ქულა, თითოეული გაცდენილი საათის ხვედრითი წილი, გადამრავლებული გაცდენილის საერთო რაოდენობაზე და ნამრავლი დამრგვალებული. მაგ: საკონტაქტო 30 საათი, 5 ქულიანი შეფასებისას გულისხმობს $5:30=0,16$ (ერთი გაცდენილი საათის ხვედრითი წილია 0,16), თუ გაცდენილია 8 საათი $8 \times 0,16=1,3$; დასწრებისთვის გამოყოფილ მაქსიმალურ ქულას აკლდება გაცდენების ქულა: $5-1,3=3,7$; (3,7 დამრგვალებული 4). მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელი სიზუსტით მაგ: 1,1; 1,2; 1,3; 1,4 – 1-მდე, ხოლო 1,5; 1,6; 1,7; 1,8; 1,9 – 2-მდე. მიეთითოს რამდენი ქულის შემთხვევაში ეთვლება დასწრება შესრულებულად)

შუალედური გამოცდა – 25 ქულა (თან დაერთოს შუალედური გამოცდისთვის განსაზღვრული ის ქულა, რომლის მიღების შემთხვევაში მას ეთვლება გამოცდა ჩაბარებულად), კერძოდ: შუალედური გამოცდა სტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 6 და მეტი ქულა.

დასკვნითი გამოცდა – 30 ქულა (თან დაერთოს დასკვნითი გამოცდის ის ქულა, რომლის მიღების შემთხვევაში მას ეთვლება გამოცდა ჩაბარებულად). დასკვნითი გამოცდა სტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება თუ მას ექნება 15 და მეტი ქულა.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

დახურული შეკითხვა: თუ პასუხი სწორია ფასდება 1 ქულით, თუ პასუხი არასწორია ფასდება 0 ქულით.

ღია შეკითხვა: საკითხი გულისხმობს წერით სამუშაოს სათანადო მაგალითებით. თუ პასუხი მოიცავს ორივეს (მსჯელობა და მაგალით) ფასდება 2 ქულით, თუ პასუხი მხოლოდ ერთ-ერთს ფასდება 1 ქულით და არასწორი, ან უპასუხოდ დატოვებული საკითხი 0 ქულა.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის თემის/ესსეს შეფასების კრიტერიუმები: სულ 10 ქულა

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	საკითხი არგუმენტირებულია და თანმიმდევრულადაა შესრულებული და მოყვანილია მაგალითები და აზრი ლოგიკურია. სტილისტურად და გრამატიკულად სწორია
6-8	საკითხი არგუმენტირებულია და თანმიმდევრულადაა შესრულებული მაგრამ არ არის მოყვანილი მაგალითები. სტილისტურად და გრამატიკულად არის მინიმალური შეცდომები.
3-5	აზრი არ არის გამართული, არგუმენტები სუსტია, მაგალითები მწირია, თუმცა საკითხი გაგებულია სწორად.
0-2	ნაწერი ვერ პასუხობს მოთხოვნებს, არ არის გამართული, არ არის ლოგიკური, გრამატიკულად და სტილისტურად გაუმართავია, არ არის არგუმენტირებული.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის პრაქტიკული ამოცანის შეფასების კრიტერიუმები: თითოეულ გამოცდაზე სტუდენტს ეძლევა 2 ამოცანა, თითოეული 5 ქულის ოდენობით. ორივე ამოცანის ქულების ჯამი ჩაითვლება საბოლოო ქულად.

ქულები	შეფასების აღწერა
4-5	ამოცანა ამოხსნა სრულყოფილად, გამოიყენა ამოხსნისთვის აუცილებელი ყველა მეთოდი, მიიღო ზუსტი პასუხი
2-3	ამოცანა ამოხსნა, გამოიყენა ამოხსნისთვის საჭირო მეთოდები, მაგრამ ვერ მიიღო პასუხი
0-1	ვერ ჩააბარა. დაიწყო ამოცანის ამოხსნა მაგრამ ვერ გამოავლინა ვერანაირი ცოდნა

ჯგუფში მუშაობის (ყოველკვირეული აქტივობის) შეფასების კრიტერიუმი:

ჯგუფში მუშაობისას გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები/აქტივობები:

- **ზეპირი პრეზენტაცია** - საკითხის, თემის შინაარსის ზეპირი გადმოცემა და ანალიზი. პრეზენტაცია შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური. ინდივიდუალური პრეზენტაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული მოხსენების, ჯგუფური პრეზენტაცია კი - სტუდენტების ჯგუფის მიერ მომზადებული მოხსენების წარმოდგენას.

- **დისკუსია/დებატების** - ჩატარდება ლექციაზე გადაცემული მასალის უკეთ გაგების მიზნით. დისკუსიის წარმოება ხელს შეუწყობს სტუდენტებში კამათის, აქტიური მოსმენის, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება-არგუმენტაციის, განსხვავებული აზრის მოსმენა-გათვალისწინების, დასკვნების გამოტანისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

- **კაზუსის ამოხსნა**-სამუშაო ჯგუფში მუშაობისას სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება ასევე კაზუსის ამოხსნა. კონკრეტულ თემებთან დაკავშირებული კაზუსების შექმნა, განხილვა და გადაწყვეტა მოხდება, როგორც

ინდივიდუალურად, ასევე, სამუშაო ჯგუფების ფორმით, რაც უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის გამოვლენისა და გაღრმავების შესაძლებლობას.

- **შემთხვევის (სიტუაციის) ანალიზი**- სტუდენტებთან ერთად მოხდება კონკრეტული შემთხვევების განხილვა. სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და გააკეთებენ კონკრეტული შემთხვევის/სიტუაციის ანალიზს;

- **როლური და სიტუაციური თამაშები**- სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უწყობს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

- **წერილობითი გამოკითხვა (ქვიზები)**: ქვიზი ტარდება რეგულარულად წინა სალექციო მასალის ცოდნის შესაფასებლად. ქვიზი შედგება შერეული ოდენობით ღია და დახურული კითხვებისაგან.

ასევე: საშინაო დავალება, პრაქტიკული სავარჯიშო, წერიტი დავალება და სხვა, კურსის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ.

სტუდენტს **ჯგუფში მუშაობის კომპონენტი** ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას კომპონენტისთვის განკუთვნილი მაქსიმალური 30 ქულიდან შესაბამის აქტივობებში მიღებული აქვს 9 და მეტი ქულა.

პრეზენტაცია: პრეზენტაცია ხდება სემესტრში ერთხელ, მეჩვიდმეტე კვირას, პრეზენტაცია ფასდება 10 ქულით, სტუდენტს პრეზენტაცია ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 3 და მეტი ქულა. პრეზენტაციის თემებს განვლილი მასალიდან ირჩევს სტუდენტი, თუ პრეზენტაცია ჯგუფურია, ამ შემთხვევაში თითოეული სტუდენტი მიიღებს მაქსიმალურ ქულას სამივე საკითხის სისრულის გათვალისწინებით.

რეფერატი: რეფერატის წერილობითი წარდგენა ხდება სემესტრში ერთხელ, მეჩვიდმეტე კვირას. რეფერატი ფასდება 10 ქულით. სტუდენტს რეფერატი ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 3 და მეტი ქულა.

იმიტირებული სასამართლო პროცესი: იმიტირებული სასამართლო პროცესი ტარდება სემესტრში ერთხელ, მეჩვიდმეტე კვირას. იმიტირებულ სასამართლო პროცესში ჩართულობა ფასდება 10 ქულით. სტუდენტს იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 3 და მეტი ქულა.

დასკვნითი ამოცანების შესრულება: მეჩვიდმეტე კვირას სტუდენტს შესასრულებლად ეძლევა შემაჯამებელი დასკვნითი ამოცანები, თითოეული ფასდება 10 ქულით, ხოლო მისი საბოლოო შეფასება იქნება ამ ამოცანების რაოდენობის საშუალო არითმეტიკული. დასკვნითი ამოცანის შესრულება სტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 3 და მეტი ქულა.

ჯგუფში მუშაობა ფასდება მასში შემავალი აქტივობებით (რომელსაც ირჩევს ლექტორი), შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით.

ზეპირი პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სასწავლო თემის ყველა დეტალი იცის ზედმიწევნით , სტუდენტი სრულყოფილად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად იცის თემის გარშემო საკითხები, ლოგიკურად და თანმიმდევრულად აყალიბებს აზრს, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა;
7-8	თემის ყველა კომპონენტი ძალიან კარგად იცის, ლოგიკური და თანმიმდევრულია აზროვნებისას, პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა;
5-6	კარგად აქვს შესრულებული თემის მოთხოვნები, უმნიშვნელო შეცდომებით, მასალებიდან ფლობს მხოლოდ ძირითადს. პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები;
3-4	თემის შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია . პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა;
1-2	პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები;
0	სტუდენტი ვერ პასუხობს.

ჯგუფში სტუდენტის აქტიურობის შესაფასებლად გამოიყენება, აგრეთვე, **დისკუსიაც**, რომელიც ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

დისკუსია ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	სტუდენტი მსჯელობს გარკვევით და ამომწურავად, მოყავს ფაქტები და არგუმენტები, შეუძლია საკითხის პრაქტიკული ღირებულების დასაბუთება, იცავს რეგლამენტს, შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
7-8	სტუდენტს არ აქვს დაშვებული არსებითი შეცდომები საკითხზე მსჯელობისას. მოყავს ფაქტები და არგუმენტები, მაგრამ ვერ აყალიბებს საკითხის პრაქტიკულ ღირებულებებს, იცავს რეგლამენტს, შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
5-6	სტუდენტს შეუძლია დმოუკიდებლად მსჯელობა, თუმცა ვერ ახერხებს მის არგუმენტირებას.
3-4	სტუდენტი არაზუსტად მსჯელობს, არ იცავს რეგლამენტს, არ შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
1-2	სტუდენტს აქვს მცდელობა მსჯელობის, თუმცა ვერ მიყავს ბოლომდე.
0	სტუდენტი ვერ მონაწილეობს დისკუსიაში

5 ქულიანი დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
5	სტუდენტი მსჯელობს გარკვევით და ამომწურავად, მოყავს ფაქტები და არგუმენტები, შეუძლია საკითხის პრაქტიკული ღირებულების დასაბუთება, იცავს რეგლამენტს, შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
4	სტუდენტს არ აქვს დაშვებული არსებითი შეცდომები საკითხზე მსჯელობისას. მოყავს ფაქტები და არგუმენტები, მაგრამ ვერ აყალიბებს საკითხის პრაქტიკულ ღირებულებებს, იცავს რეგლამენტს, შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
3	სტუდენტს შეუძლია დმოუკიდებლად მსჯელობა, თუმცა ვერ ახერხებს მის არგუმენტირებს.
2	სტუდენტი არაზუსტად მსჯელობს, არ იცავს რეგლამენტს, არ შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა
1	სტუდენტს აქვს მცდელობა მსჯელობის, თუმცა ვერ მიყავს ბოლომდე.
0	სტუდენტი ვერ მონაწილეობს დისკუსიაში

ჯგუფში მუშაობისას სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება ასევე **კაზუსის ამოხსნა**. კაზუსის ამოხსნა ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

კაზუსის ამოხსნის შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	პასუხი სრულია; არ არის გამორჩენილი არც ერთი საკითხი. ყველა საკითხზე პასუხი ზუსტად და ამომწურავადაა გაცემული. იურიდიული ტერმინოლოგია და კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სრულად არის დაცული.
7-8	პასუხი სრულია; მაგრამ შეკვეცილი; გამორჩენილია გარკვეული საკითხები, თუმცა განხილულ საკითხებზე პასუხი ზუსტად და ამომწურავადაა გაცემული. გამართულია იურიდიული ტერმინოლოგია და ძირითადად დაცულია კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა. სტუდენტს არ აქვს დაშვებული არსებითი შეცდომები საკითხზე მსჯელობისას.
5-6	პასუხი არასრულია; გამორჩენილია გარკვეული საკითხები და განხილულ საკითხებზე მსჯელობა არაზუსტი და არასრულყოფილია. იურიდიული ტერმინოლოგია და კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ნაკლოვანია.
3-4	პასუხი მწირია; არ არის განხილული ძირითადი საკითხები, მსჯელობა ძალზედ მწირი, ნაკლოვანი და ძირითადად არაზუსტია. გაუმართავია იურიდიული ტერმინოლოგია და ტექსტი. არ არის გამოყენებული კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა.
1-2	პასუხი ძირითადად მცდარია; არ არის განხილული ძირითადი საკითხები. მსჯელობა არაზუსტი და მცდარია. არ არის გამოყენებული იურიდიული ტერმინოლოგია და კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა. ტექსტი გრამატიკულად გაუმართავია.
0	პასუხი გაუცემელია; საერთოდ არ არის არცერთი საკითხი განხილული ან პასუხი საერთოდ არ შეესაბამება საგამოცდო საკითხებს.

ჯგუფში მუშაობისას სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება ასევე **შემთხვევის (სიტუაციის) ანალიზის, ქეისების (case)**. შემთხვევის (სიტუაციის) ანალიზი ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

შემთხვევის (სიტუაციის) ანალიზის, ქეისების (case) შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მისი ანალიზი, მოვლენის განვითარების სავარაუდო ვარიანტების ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა; პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის არგუმენტირებული დასაბუთება .
7-8	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მისი ანალიზი, მოვლენის განვითარების სავარაუდო ვარიანტების ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა; თუმცა ვერ აყალიბებს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის არგუმენტირებულ დასაბუთებას .
5-6	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მისი ანალიზი, მოვლენის განვითარების სავარაუდო ვარიანტების ჩამოყალიბება, მაგრამ ვერ აყალიბებს პრობლემის გადაჭრის გზებს;
3-4	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მაგრამ ვერ აკეთებს მის ანალიზს.
1-2	სტუდენტს უჭირს პრობლემის დანახვა, თუმცა აქვს მცდელობა მისი ცალკეული ასპექტების დაფიქსირების
0	სტუდენტი ვერ ახერხებს პრობლემის დანახვას

5 ქულიანი შემთხვევის (სიტუაციის) ანალიზის, ქეისების (case) შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
5	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მისი ანალიზი, მოვლენის განვითარების სავარაუდო ვარიანტების ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა; პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის არგუმენტირებული დასაბუთება .
4	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მისი ანალიზი, მოვლენის განვითარების სავარაუდო ვარიანტების ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა; თუმცა ვერ აყალიბებს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის არგუმენტირებულ დასაბუთებას .
3	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მისი ანალიზი, მოვლენის განვითარების სავარაუდო ვარიანტების ჩამოყალიბება, მაგრამ ვერ აყალიბებს პრობლემის გადაჭრის გზებს;
2	სტუდენტს შეუძლია პრობლემის დანახვა, მაგრამ ვერ აკეთებს მის ანალიზს.
1	სტუდენტს უჭირს პრობლემის დანახვა, თუმცა აქვს მცდელობა მისი ცალკეული ასპექტების დაფიქსირების
0	სტუდენტი ვერ ახერხებს პრობლემის დანახვას

საშინაო დავალების შესრულება ფასდება 10 ქულით.

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	დავალება შესრულებულია სწორად. ჩანს შესაბამისი მეთოდების ზედმიწევნით კარგი ცოდნა.
7-8	დავალება შესრულებულია სწორად. დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები.
5-6	დავალების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია, დაშვებულია არსებითი ხასიათის 1-2 შეცდომა.
3-4	დავალების დაახლოებით ნახევარია შესრულებული, ზოგიერთ მეთოდს ვერ იყენებს სრულყოფილად.
1-2	დავალების მცირე ნაწილია შესრულებული, ძირითად მეთოდებს კარგად ვერ ფლობს.
0	დავალებით გათვალისწინებული ამოცანებიდან ვერც ერთს ვერ ასრულებს შესაბამისი ამოხსნის გზების არცოდნის გამო.

საშინაო დავალების შესრულება (გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის შედგენა) ფასდება 10 ქულით.

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	გაკვეთილი დაგეგმილია სრულყოფილად. ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების ზედმიწევნით ცოდნა. კარგად აქვს გაწერილი საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ყველა შესაძლო ჩართულობა. მოსწავლეთა შეფასებისას სწორად იყენებს არსებულ მეთოდებს. საგაკვეთილო დრო სწორად არის გადანაწილებული.
7-8	გაკვეთილი დაგეგმილია ნაწილობრივ სრულყოფილად. ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების კარგი ცოდნა. კარგად აქვს გაწერილი საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების თითქმის ყველა შესაძლო ჩართულობა. მოსწავლეთა შეფასებისას სწორად იყენებს არსებულ მეთოდებს. საგაკვეთილო დრო სწორად არის გადანაწილებული.
5-6	გაკვეთილი დაგეგმილია მცირე ხარვეზებით. ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების კარგი ცოდნა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების შესაძლო ჩართულობა ჩანს, მაგრამ არა სრულყოფილად. მოსწავლეთა შეფასებისას არსებულ მეთოდებს იყენებს მცირე ხარვეზით. საგაკვეთილო დრო სწორად არის გადანაწილებული.
3-4	გაკვეთილი დაგეგმილია დამაკმაყოფილებელ დონეზე. ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების არასრული ცოდნა. საგაკვეთილო დრო სწორად არ არის გადანაწილებული. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების შესაძლო ჩართულობა ჩანს, მაგრამ არა სრულყოფილად. მოსწავლეთა შეფასებისას არსებულ მეთოდებს იყენებს ხარვეზებით.
1-2	გაკვეთილი დაგეგმილია არასრულად. ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების მწირი ცოდნა. საგაკვეთილო დრო სწორად არ არის გადანაწილებული. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების შესაძლო ჩართულობა არ ჩანს. მოსწავლეთა შეფასებისას არსებულ მეთოდებს არ იყენებს სწორად.
0	სტუდენტმა არ შეასრულა დავალება.

როლურ თამაშში მონაწილეობა (იმიტირებული გაკვეთილის ჩატარება) ფასდება 10 ქულით.

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	<p>გაკვეთილი ჩატარა სრულყოფილად. შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით, ინტერაქტიური გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება. გაკვეთილის ჩატარებისას ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების ზედმიწევნით ცოდნა. ზუსტად აქვს გათვლილი საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ყველა შესაძლო ჩართულობა. ზედმიწევნით ფლობს მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე მეთოდებს. საგაკვეთილო დროს სწორად ანაწილებს. ხსნის და საუბრობს თავისუფლად. შეუძლია გაკვეთილი ჩატაროს შემოქმედებითად და საინტერესოდ.</p>
7-8	<p>გაკვეთილი ჩატარა ნაწილობრივ სრულად. შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით. თითქმის კარგად შეუძლია ინტერაქტიური გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება. გაკვეთილის ჩატარებისას ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების ცოდნა. გათვლილი აქვს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების თითქმის ყველა შესაძლო ჩართულობა. ფლობს მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე მეთოდებს. საგაკვეთილო დროს სწორად ანაწილებს. ხსნის და საუბრობს თავისუფლად.</p>
5-6	<p>გაკვეთილი ჩატარა მცირე ხარვეზებით. შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით შეუძლია ხარვეზებით. გაკვეთილის ჩატარებისას არასრულად ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების ცოდნა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების შესაძლო ჩართულობა აქვს გათვალისწინებული მხოლოდ ნაწილობრივ. არასრულად ფლობს მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე მეთოდებს. საგაკვეთილო დროს სწორად ვერ ანაწილებს. ხსნის და საუბრობს მოუხერხებლად.</p>
3-4	<p>გაკვეთილი ჩატარა დამაკმაყოფილებლად. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა შეუძლია დამაკმაყოფილებლად. გაკვეთილის ჩატარებისას სუსტად ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების ცოდნა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების შესაძლო ჩართულობა გათვალისწინებული თითქმის არა აქვს. ვერ ფლობს მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე მეთოდებს. საგაკვეთილო დროს სწორად ვერ ანაწილებს. ხსნის და საუბრობს მონოტონურად.</p>
1-2	<p>გაკვეთილი თითქმის ვერ ჩატარა. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა არ შეუძლია სწორად. გაკვეთილის ჩატარებისას არ ჩანს შესაბამისი თეორიული მასალისა და სასწავლო მეთოდების ცოდნა. ვერ ფლობს მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე მეთოდებს. საგაკვეთილო დროს სწორად ვერ ანაწილებს. ხსნის და საუბრობს დაბნეულად.</p>
0	<p>სტუდენტმა არ მიიღო მონაწილეობა ამ აქტივობაში და არც უცდია ჩატარებინა გაკვეთილი.</p>

წერილობითი დავალების შეფასების კრიტერიუმები-10 ქულა:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	დავალება სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. საკითხი არგუმენტირებულია, თანმიმდევრულადაა შესრულებული, აზრი ლოგიკური, სტილისტურად და გრამატიკულად სწორი. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ განვლილ მასალას.
7-8	დავალება სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; სტილისტურად და გრამატიკულად არის მინიმალური შეცდომა. სტუდენტი კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ განვლილ მასალას;
4-6	დავალება არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; აზრი არ არის გამართული, არგუმენტები სუსტია, თუმცა საკითხი გაგებულია სწორად. სტილისტურად და გრამატიკულად არის შეცდომები.
2-3	დავალება ნაკლოვანია, ნაწერი ვერ პასუხობს მოთხოვნებს, არ არის არგუმენტირება, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; სტილისტურად და გრამატიკულად გაუმართავია. პასუხი არსებითად მცდარი. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.
0-1	დავალება საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

პრაქტიკული სავარჯიშო, რომელიც ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	პასუხი სრულია; ზუსტად და ამომწურავადაა გამოყენებული ყველა თეორიული მასალა პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულების დროს. სტუდენტი ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობს და აყალიბებს აზრს, სრულყოფილად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას.
6-8	პასუხი სრულია; თეორიული მასალა კარგადაა გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულების დროს. ლოგიკურად მსჯელობს, მაგრამ თანმიმდევრულად ვერ აყალიბებს აზრს. სტუდენტი ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას.
3-5	პასუხი არასრულია; თეორიული მასალა დამაკმაყოფილებლადაა გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულების დროს. აზროვნებისას პასუხი არასრულია. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას.
1-2	პასუხი ნაკლოვანია, ვერ პასუხობს მოთხოვნებს, პასუხი არსებითად მცდარი. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.
0	პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

წერილობითი გამოკითხვა (ქვიზების) შეფასების კრიტერიუმები: ქვიზი შედგება შერეული ოდენობის ღია და დახურული კითხვებისაგან, შეფასების მეთოდი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დახურული შეკითხვა: თუ პასუხი სწორია ფასდება 1 ქულით, თუ პასუხი არასწორია ფასდება 0 ქულით.

ღია შეკითხვა: საკითხი გულისხმობს წერით სამუშაოს სათანადო მაგალითებით. თუ პასუხი მოიცავს ორივეს (მსჯელობა და მაგალითი) ფასდება 2 ქულით, თუ პასუხი მხოლოდ ერთ-ერთს - ფასდება 1 ქულით და არასწორი, ან უპასუხოდ დატოვებული საკითხი - 0 ქულა.

რეფერატის შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	საკითხის გარშემო მოძიებულია სამეცნიერო ლიტერატურა მოხსენებისას საკმაოდ დამაჯერებელია სტუდენტი და ფლობს მასალას, გამოყენებულია სათანადო ტერმინები, საკითხი სწორადაა შერჩეული და სტუდენტი აცნობიერებს საკითხის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას.
6-8	სტუდენტი ფლობს სამეცნიერო ლიტერატურას, მაგრამ ვერ ახერხებს დამაჯერებლად მოხსენებაზე საკითხის გადმოცემას, სტუდენტი ფლობს ტერმინებს და ნაკლებად აცნობიერებს საკითხის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას.
3-5	სტუდენტმა მოიძია მასალა, საკითხის შერჩევაში, პრობლემის აქტუალობის მიგნებაში მას დაეხმარა ლექტორი, ნაშრომი იყო დამაკმაყოფილებელი.
0-2	არ შეუფასდა რეფერატი. მასალა მწირია, ვერ ახერხებს მოხსენების ჩამოყალიბებას. ვერ ჩაწვდა საკითხს.

იმიტირებული სასამართლო პროცესის შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	სტუდენტმა მოცემული შემთხვევის ყველა დეტალი ზედმიწევნით განიხილა, ღრმად იცის შემთხვევის გარშემო ყველა ნორმატიული აქტი, ლოგიკურად და თანმიმდევრულად აყალიბებს აზრს, ერუდირებულია
6-8	შემთხვევის ყველა დეტალი ძალიან კარგად იცის, ლოგიკური და თანმიმდევრულია აზროვნებისას, მაგრამ მწირია ნორმატიული აქტების ცოდნის დონე
3-5	კარგად აქვს შესწავლილი მოცემული შემთხვევა, თუმცა ნორმატიული აქტების მოძიებისას სწორად ვერ მიხვდა მასალის არსს. ფლობს მხოლოდ ძირითად აქტებს.
1-2	იმიტირებული სასამართლო პროცესის შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია
0	ვერ ჩააბარა.

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	საკითხის გარშემო მოძებულია სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდ, მოხსენებისას დამაჯერებელია სტუდენტი და ფლობს მასალას და გამოყენებულია სათანადო ტერმინები, საკითხი სწორადაა შერჩეული და სტუდენტი აცნობიერებს საკითხის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას. იცავს რეგლამენტს და კონტაქტს კარგად ახერხებს აუდიტორიასთან.
6-8	სტუდენტი ფლობს სამეცნიერო ლიტერატურას, მაგრამ ვერ ახერხებს დამაჯერებლად პრეზენტაციისას საკითხის გადმოცემას, სტუდენტი ფლობს ტერმინებს და ნაკლებად აცნობიერებს საკითხის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას. რეგლამენტს ვერ იცავს, თუმცა ფლობს აუდიტორიას.
3-5	სტუდენტმა მოიძია მასალა, საკითხის შერჩევაში, პრობლემის აქტუალობის მიგნებაში მას დაეხმარა ლექტორი, პრეზენტაცია იყო დამაკმაყოფილებელი. ნაკლებად ახერხებს მიიქციოს აუდიტორიის ყურადღება.
0-2	არ შეუფასდა პრეზენტაცია, მასალა მწირია, ვერ ახერხებს მოხსენების ჩამოყალიბებას. ვერ ჩაწვდა საკითხს. აუდიტორია საერთოდ ვერ უგებს რა შინაარსი ჰქონდა მის მიერ წარმოდგენილ მასალას.

დასკვნითი ამოცანის შესრულების კრიტერიუმები:

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	ამოცანა შესრულებულია ყველა თეორიული და პრაქტიკული ხერხის გამოყენებით. ნაჩვენებია ამოცანის ამოხსნის გზა სრულყოფილად და მიღებულია სწორი პასუხი.
6-8	ამოცანა შესრულებულია ნაწილობრივ, ამოცანის ამოხსნის სრულყოფილი გზა არ არის ნაჩვენები, მაგრამ მიღებული აქვს სწორი პასუხი.
3-5	ამოცანის არსი გააზრებულია, ამოხსნა დაწყებულია და ბოლომდე არ არის მიყვანილი
1-2	ნაწერი ვერ პასუხობს მოთხოვნებს, ფორმის ნაწილს უადგილოდ იყენებს, აზრი არ არის გამართული, არსი გაუაზრებელია, სწორ პასუხთან ახლოს არ არის.
0	ამოცანა ვერ ამოხსნა

ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

შეფასების კომპონენტები :

I შუალედური გამოცდა-20 ქულა
II შუალედური გამოცდა-20 ქულა
დასკვნითი გამოცდა-30 ქულა
ჯგუფში მუშაობა (აქტიურობა) 15 ქულა
პრეზენტაცია -15 ქულა

ჯგუფში მუშაობა:ფასდება 15 ქულით. თითოეულ მეცადინეობაზე სტუდენტის აქტივობა, ზეპირი პრეზენტაცია, მასალის მოძიება, წარდგენა, წინა სალექციო მასალის ანალიზი მოძიებული ინფორმაციის საშუალებით, დებატებში მონაწილეობა-აქტივობა. ჯგუფში მუშაობასტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 5 და მეტი ქულა.

პრეზენტაცია : პრეზენტაცია ხდება სემესტრში ერთხელ, მეთვრამეტე კვირას. პრეზენტაცია ფასდება 15 ქულით. სტუდენტს პრეზენტაცია ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 3 და მეტი ქულა.

შუალედური გამოცდა - 20/20 ქულა, (სავალდებულო კომპონენტი), ტარდება მეშვიდე და მეთორმეტე კვირას და მოიცავს შუალედურ გამოცდამდე გავლილ მასალას. წერილობით გამოცდაზე (ტესტირება) სტუდენტს მიეცემა 5 დახურული ტესტი, (თითოეული 1 ქულით), 5 ღია ტესტი (თითოეული 2 ქულით), თემა დასაწერი, გავლილი თეორიული მასალიდან (5 ქულით). შუალედური გამოცდა სტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ მას მიღებული აქვს 6 და მეტი ქულა.

დასკვნითი გამოცდა- 30 ქულა, (სავალდებულო კომპონენტი) დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი გადის კურსის დასრულების შემდეგ და ტარდება მეცხრამეტე კვირიდან, შეთავაზებული იქნება 10 დახურული ტესტი (თითოეული 1 ქულით), 5 ღია ტესტი (თითოეული 2 ქულით), თემა დასაწერი, გავლილი თეორიული მასალიდან (10 ქულა). დასკვნითი გამოცდა სტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება თუ მას ექნება 15 და მეტი ქულა.

შეფასების მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, წერილი გამოკითხვა

შეფასების კრიტერიუმები:

სტუდენტის აქტიურობა ჯგუფში მუშაობისას შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
13-15 ქულა: სწორად უსაბამებს კონკრეტული ამოცანის შინაარსს სასწავლო კურსის თეორიასთან, ეფექტურად იყენებს სასწავლო კურსის თეორულ მასალას კონკრეტული (პრობლემის) ამოცანის გადაწყვეტისას. თავისუფლად პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ დამატებით შეკითხვებს მოცემული თემის ირგვლივ;

10-12 ქულა: სწორად უსაბამებს კონკრეტული ამოცანის შინაარსს სასწავლო კურსის თეორიასთან, იყენებს სასწავლო კურსის თეორულ მასალას კონკრეტული (პრობლემის) ამოცანის გადაწყვეტისას. პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ დამატებით შეკითხვებს მოცემული თემის ირგვლივ;

7-9 ქულა:უჭირს შეუსაბამოს კონკრეტული ამოცანის შინაარსი სასწავლო კურსის თეორიასთან, ნაწილობრივ იყენებს სასწავლო კურსის თეორულ მასალას კონკრეტული (პრობლემის) ამოცანის გადაწყვეტისას. ხარვეზებით პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ დამატებით შეკითხვებს მოცემული თემის ირგვლივ;

4-6 ქულა: უმეტესად ვერ უსაბამებს კონკრეტული ამოცანის შინაარსს სასწავლო კურსის თეორიასთან, უმეტესად ვერ იყენებს სასწავლო კურსის თეორულ მასალას კონკრეტული (პრობლემის) ამოცანის გადაწყვეტისას. უმეტესად ვერ პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ დამატებით შეკითხვებს მოცემული თემის ირგვლივ;

1-3 ქულა: ვერ უსაბამებს კონკრეტული ამოცანის შინაარსს სასწავლო კურსის თეორიასთან, ვერ იყენებს სასწავლო კურსის თეორულ მასალას კონკრეტული (პრობლემის) ამოცანის გადაწყვეტისას. თითქმის ვერ პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ დამატებით შეკითხვებს მოცემული თემის ირგვლივ;

0 ქულა: ვერ უსაბამებს კონკრეტული ამოცანის შინაარსს სასწავლო კურსის თეორიასთან, ვერ იყენებს სასწავლო კურსის თეორულ მასალას კონკრეტული

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები

ა) გამართული და სწორიმეტყველება - 5 ქულა

- გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს **5 ქულა** -
- გამართულად მეტყველებს, იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს-**4 ქულა**
- იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, მეტნ-აკლებად გამართულად საუბრობს **3-2 ქულა**
- უჭირს გამართულად საუბარი, ვერ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს **1 ქულა** -
- ნათქვამის აზრი ბუნდოვანი და გაუგებარია **0 ქულა**

ბ) სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა - 5 ქულა

- სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად. საკითხს აშუქებს ამომწურავად და თანმიმდევრულად **5- ქულა**
- სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად, საკითხს აშუქებს **4-3 ქულა**
- სათქმელს გადმოსცემს გასაგებად- **2- 1-ქულა**
- უჭირს სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა **0- ქულა**

გ) კონტაქტი აუდიტორიასთან - 5 ქულა

- წარმატებით იყენებს არაველბარულ (ხმის აწევ- დაწევა, მიმიკა, ჟესტიკულაცია) საშუალებებს- **5 ქულა**
- ადეკვატურად იყენებს არავერბალურ საშუალებებს-**4-3 ქულა**
- მეტ-ნაკლებად ახერხებს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას-**2-1 ქულა**
- ვერ ახერხებს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას **0- ქულა**

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

დახურული შეკითხვა: თუ პასუხი სწორია ფასდება 1 ქულით, თუ პასუხი არასწორია ფასდება 0 ქულით.

ღია შეკითხვა: საკითხი გულისხმობს წერით სამუშაოს სათანადო მაგალითებით. თუ პასუხი მოიცავს ორივეს (მსჯელობა და მაგალით) ფასდება 2 ქულით, თუ პასუხი მხოლოდ ერთ-ერთს ფასდება 1 ქულით და არასწორი, ან უპასუხოდ დატოვებული საკითხი 0 ქულა.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის თემის/ეხსეს შეფასების კრიტერიუმები:
სულ 10 ქულა

ქულები	შეფასების აღწერა
9-10	საკითხი არგუმენტირებულია და თანმიმდევრულადაა შესრულებული და მოყვანილია მაგალითები და აზრი ლოგიკურია. სტილისტურად და გრამატიკულად სწორია
6-8	საკითხი არგუმენტირებულია და თანმიმდევრულადაა შესრულებული მაგრამ არ არის მოყვანილი მაგალითები. სტილისტურად და გრამატიკულად არის მინიმალური შეცდომები.
3-5	აზრი არ არის გამართული, არგუმენტები სუსტია, მაგალითები მწირია, თუმცა საკითხი გაგებულაა სწორად.
0-2	ნაწერი ვერ პასუხობს მოთხოვნებს, არ არის გამართული, არ არის ლოგიკური, გრამატიკულად და სტილისტურად გაუმართავია, არ არის არგუმენტირებული.

შენიშვნა: დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც წინასაგამოცდო 70 ქულიდან დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 .

დასკვნითი გამოცდის გადაბარება ((FX) შეფასების მიღების შუამთხოვევაში) შესაძლებელია იმავე სემესტრში დასკვნით გამოცდაზე გასვლიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ, დასკვნითი გამოცდის ცხრილით განსაზღვრულ დროს.

3. მასწავლებლის მომზადების პროგრამების პრაქტიკის სილაბუსის შემუშავების ინსტრუქცია

1 პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია:

პრაქტიკას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის და/ან მოდულის მიზნებსა და სწავლის შედეგებს; პრაქტიკის შეფასება წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის და/ან მოდულის შეფასების ნაწილს; პრაქტიკის დეტალები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, განისაზღვრება და მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად.

2. პასუხისმგებლობა პრაქტიკის განხორციელებაზე მკაფიოდაა განსაზღვრული და გადანაწილებული დაინტერესებულ მხარეებს შორის (სტუდენტი, საწარმო/ორგანიზაცია და სასწავლო უნივერსიტეტი).

3. პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ საწარმოს/ორგანიზაციას შორისთანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

4. პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმო/ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

უზრუნველყოს შესაბამისი გარემო დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად; დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკის ადგილზე; უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო; ადასტურებს სტუდენტის ჩართულობას პრაქტიკის კომპონენტში პრაქტიკის ობიექტზე

5. პრაქტიკას წინ უძღვის სტუდენტის ინფორმირება. პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტს აწვდის შესაბამის საწყის ინფორმაციას:

უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ; მისაღწევი სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ; პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ; დღიურის წარმოების წესისა და ანგარიშის მომზადების შესახებ; პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

6. პრაქტიკის განხორციელებისათვის სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს პრაქტიკის ხელმძღვანელს, ხოლო საწარმო კი – მენტორს.

7. სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს პრაქტიკის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

8. პრაქტიკის ადგილი საგანმანათლებლო პროგრამაში

პრაქტიკა შეიძლება ისახავდეს სხვადასხვა მიზნებს. შესაბამისად არსებობს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკა: მოკლევადიანი, გრძელვადიანი, ანაზღაურებადი ან მის გარეშე და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკა შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული/მოდული შესაბამისი კრედიტით ან როგორც სალექციო კურსის/მოდულის შემადგენელი ნაწილი.

თუ პრაქტიკა არის დამოუკიდებელი ერთეული/მოდული, მისი განხორციელებისათვის აუცილებელია პრაქტიკის პროგრამა (სილაბუსი).

პრაქტიკის პროგრამაში (სილაბუსში) მოცემული უნდა იყოს:

პრაქტიკის მიზნები;

მოსალოდნელი სწავლის შედეგები: დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები;

განხორციელების ადგილი და ვადები;

პრაქტიკის პროცესში განსახორციელებელი საქმიანობა;

სტუდენტის უფლებები და მოვალეობანი;

დღიურის წარმოების წესი;

პრაქტიკის ანგარიშიან პროექტი (დარგის სპეციფიკიდან და პრაქტიკის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება რა სახის დოკუმენტი უნდა მოამზადოს სტუდენტმა: ანგარიში თუ პროექტი. პროექტის შემთხვევაში მისი თემა უნდა შეთანხმდეს პრაქტიკის ხელმძღვანელთან);

პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები:

კრედიტის მისაღებად სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარება, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკული მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

პრაქტიკის განსაკუთრებული პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თუ პრაქტიკა სალექციო კურსის/მოდულის შემადგენელი ნაწილია, აუცილებელია, რომ შესაბამისი სილაბუსი იძლეოდეს სრულ ინფორმაციას პრაქტიკის შესახებ.

პრაქტიკის განხორციელების პროცესი პრაქტიკა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ;

სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება;

სტუდენტის რეგულარული ზედამხედველობა მენტორის მიერ;

სტუდენტის კონსულტირება და მონიტორინგი პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

პრაქტიკის ანგარიშის (ანპროექტის) მომზადება;

პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

პრაქტიკის ანგარიშის თავფურცელი
(ნიმუში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფაკულტეტი

პრაქტიკის ანგარიში

პრაქტიკის განხორციელების ადგილი:

პრაქტიკის ვადები:

სტუდენტის სახელი და გვარი:

პრაქტიკის ხელმძღვანელი:

მენტორი:

პრაქტიკის დღიური

სტუდენტი ვალდებულია აღწეროს თავისი ყოველდღიური საქმიანობა, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის ან პროექტის მომზადებაში. დღიური უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- თარიღი;
- საწარმოს/ორგანიზაციის განყოფილება/დეპარტამენტი/ერთეული;
- შესრულებული საქმის აღწერა;
- კომენტარი.

სტუდენტმა შესაძლებელია აწარმოოს კომპეტენციების განვითარების დღიურიც:

დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციები	მაგალითები
1.საკომუნიკაციო უნარები	
2.ჯგუფში მუშაობა	
3.საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი	
4.	
5.	
6.	

**პრაქტიკის ანგარიში
(ნიმუში)**

1 თავფურცელი და რეზიუმე

უმაღლესი სასწავლებელი;

პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმოს/ორგანიზაციის დასახელება;

პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების თარიღი;

სტუდენტის სახელი და გვარი;

პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

მენტორის სახელი და გვარი.

რეზიუმე

პრაქტიკის ანგარიშის ერთგვერდიანი შეჯამება.

სარჩევი

2. საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა

2.1. საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი;

2.2. საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა;

2.3. სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო/ორგანიზაცია; წარმოებული პროდუქცია და/ან მომსახურება და ძირითადი მომხმარებლები;

2.4. საწარმოს/ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა (სქემა);

2.5. უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების რეგულირება;

3. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

3.1. რა ტიპის საქმიანობას ახორციელებდით, რა ფუნქციებს ასრულებდით პრაქტიკის დროს?

3.2. პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განივითარეთ პრაქტიკის პროცესში?

3.3. რამდენად შეესაბამებოდა პრაქტიკის დროს თქვენ მიერ განხორციელებული საქმიანობა თქვენ მიერ მანამდე გამოიმუშავებულ დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს? (სტუდენტმა შეიძლება მიუთითოს ის ახალი კომპეტენციები, რომლებიც შეიძინა პრაქტიკის პროცესში).

3.4. როგორ ფიქრობთ რა გავლენას მოახდენს პრაქტიკა თქვენს სამომავლო პროფესიულ საქმიანობაზე?

4. დასკვნები-რეკომენდაციები

მოიცავს პრაქტიკისგან მიღებულ ძირითად დასკვნებს და ზოგად დაკვირვებას პრაქტიკის ობიექტზე.

5. დანართი

გრაფიკები, ცხრილები, სურათები და ა. შ.

6. პრეზენტაცია

პრაქტიკის ანგარიშის შეფასება
(ნიმუში)

1. თავფურცელი და რეზიუმე–10 ქულა

გაფორმებულია შესაბამისად;

რეზიუმე სრულად ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს.

2. საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა– 20 ქულა

ქმნის მკაფიო წარმოდგენას საწარმოზე.

3. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი – 30 ქულა

განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს;

შესაბამისი მაგალითების მოშველიებით აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს
(განვითარებულ კომპეტენციებს);

კომპეტენციების განვითარება შეფასებულია კრიტიკულად;

ტექსტი ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.

4. დასკვნები და რეკომენდაციები– 20

არგუმენტირებულია.

5. დანართი– 10

რელევანტურია;

ნათლადაა გადმოცემული.

6. პრეზენტაცია– 10

თანმიმდევრული;

შესაბამისად გაფორმებული.

4. დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსის შემუშავების ინსტრუქცია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
კურსის სახელწოდება:

სასწავლო კურსის სტატუსი:
კურსის კოდი:
კურსის განმახორციელებელი:

სასწავლო კურსის ფორმატი:საკონტაქტო (პრაქტიკული მეცადინეობა)
კურსის სამიზნე ჯგუფი:
სასწავლო კურსის მიზანი:
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა:
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები:

პრაქტიკის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
3. სწავლის უნარი
4. კომუნიკაციის უნარი:
5. დასკვნის უნარი
6. ღირებულებები

პრაქტიკანტის მიერ სკოლაში შესასრულებელი სამუშაოების თემატიკა (შინაარსი)

პრაქტიკის ანგარიშის წარდგენა

1. პედაგოგიური პრაქტიკის შინაარსი, მიზანი და ამოცანები;
2. სკოლის სტრუქტურა
3. პრაქტიკანტი სტუდენტის უფლება–მოვალეობები;
4. პრაქტიკის დოკუმენტაცია, აღრიცხვა და შეფასება;
5. პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელობა;
6. საგნის სწავლების (მშობლიური ენა – ლიტერატურა, მათემატიკა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება) თავისებურებანი და ეროვნული პროგრამა ;
7. საკლასო დოკუმენტაციის წარმოება
8. გაკვეთილი – სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა და სწავლა–სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები ;
9. კლასგარეშე მუშაობა, ფორმები და მეთოდები;
10. სწავლების ძირითადი მეთოდები და ხერხები;
11. მოსწავლის პიროვნების ფსიქოლოგიურ–პედაგოგიური შესწავლის მეთოდები და საშუალებები;
12. გაკვეთილის ვიდეო– ჩანაწერის ნახვა – მოსმენა და განხილვა ;
13. გაკვეთილის აგეგმვა და მასწავლებლის მზადება გაკვეთილისათვის ;
14. კლასგარეშე სააღმზრდელო ღონისძიების აგეგმვა და მომზადება;
15. მშობლებთან მუშაობის თავისებურებანი;

16. მასწავლებლის პიროვნება და კონფლიქტების მოგვარება;

სწავლების ფორმატი:

საცდელი გაკვეთილის მომზადება (16 გაკვეთილი: ქართული ენა და ლიტერატურა 4 გაკვეთილი, მათემატიკა 4 გაკვეთილი, ბუნებისმცოდნეობა 2 გაკვეთილი, მუსიკა 2 გაკვეთილი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 2 გაკვეთილი) - 30 სთ

ნიშანზე გაკვეთილის გადაცემა (16 გაკვეთილი: ქართული ენა და ლიტერატურა 4 გაკვეთილი, მათემატიკა 4 გაკვეთილი, ბუნებისმცოდნეობა 2 გაკვეთილი, მუსიკა 2 გაკვეთილი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 2 გაკვეთილი) - 15 სთ

პასიური პრაქტიკა - 64 სთ

კლასთან სააღმზრდელო ღონისძიების ჩატარება - 60 სთ

მოსწავლეებზე ფსიქოლოგიური დაკვირვების წარმოება - 56 სთ

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, მეთოდისტებთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონსულტაციების გავლა, დისკუსიებში მონაწილეობა, დაკვირვება, ანალიზი, მოსწავლისა და კლასის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური შესწავლა, პედაგოგიური პრაქტიკის დღიურის წარმოება, პორტფოლიოს პრეზენტაცია/დაცვა

შეფასებისკომპონენტები :

1. პედაგოგიური პრაქტიკის დღიურის წარმოება - 10 ქულა
2. სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა, სასკოლო-სასწავლო გეგმის ანალიზი (წერილობითი ფორმით წარმოდგენა) - 10 ქულა
3. ორი საცდელი გაკვეთილის მომზადება-ჩატარება, 20 ქულა (10-10 ქულა)
4. მოსწავლეზე დაკვირვება და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათების მომზადება - 10 ქულა
5. კლასის დამრიგებლის მიერ გასულ სემესტრში გაწეული სამუშაოს ანალიზი გეგმის მიხედვით - 10 ქულა
6. აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით- 20 ქულა
7. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების ორგანიზება/ჩატარება -10 ქულა
8. პრაქტიკის/პორტფოლიოს ანგარიში /დაცვა - 10 ქულა

პრაქტიკის ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა პრაქტიკაზე მეორედ გასვლის საშუალება სწავლისაგან მოუწყვეტლად ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ დადგენილი გრაფიკით.

მოთხოვნები

1. პრაქტიკაზე სისტემატიურად გამოცხადება
2. აქტივობა, რაც გამოიხატება ინდივიდუალური გეგმის შესრულებაში.
3. ქცევა– თავშეკავებულობა, კორექტულობა, საკუთარი აზრის მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბება

შეფასების კრიტერიუმები:

I. პედაგოგიური პრაქტიკის დღიურის წარმოება 10 ქულა

რაც გულისხმობს:

პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დღიურში, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში.

სასწავლო პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვას (კალენდარული გეგმის წარმოებას) და გაკვეთილებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებებზე დასწრების შედეგად ნანახი ფაქტებისა და მიღებული შთაბეჭდილებების დეტალურ აღწერას (ყოველდღიური დღიურის წარმოებას). აქედან:

9-10 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური ძალიან კარგადაა წარმოებული; ზუსტად და ამომწურავადაა გადმოცემული ყველა ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ; ძალიან კარგად ფლობს ტერმინოლოგიას. სტუდენტი ძალიან კარგად აყალიბებს დასკვნებს და აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას;

7-8 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ამომწურავადაა გადმოცემული ყველა ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ; ტერმინოლოგია ძირითადად დაცულია. სტუდენტი კარგად აყალიბებს დასკვნებს და აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას;

5-6 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური დამაკმაყოფილებელია; ტერმინოლოგია არასრულია დამაკმაყოფილებლადაა გადმოცემული ყველა ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ; საშუალოდ ფლობს ტერმინოლოგიას. სტუდენტი დასკვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკის მიმდინარეობის შეფასების დროს უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს;

3-4 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ არაამომწურავადაა გადმოცემული; შეინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; სტუდენტი არასაკმარისად ფლობს უჭირს დასკვნების ჩამოყალიბება და პრაქტიკის მიმდინარეობის შეფასება;

2-1 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური ვერ აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას;

0 ქულა: დღიური მოთხოვნების შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

II. სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა, სასკოლო-სასწავლო გეგმის ანალიზი (წერილობითი ფორმით წარმოდგენა) -

- სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია წარმოდგენილია, სასკოლო-სასწავლო გეგმის (დაწყებით საფეხურზე) ანალიზი გაკეთებულია 8-10 ქულა
- სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია წარმოდგენილია, თუმცა სასკოლო-სასწავლო გეგმის (დაწყებით საფეხურზე) ანალიზი ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, ბუნდოვანია 6-8 ქულა
- სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ზოგადი ინფორმაცია ძალზედ ბუნდოვანია, არ არის გააზრებული სასკოლო-სასწავლო გეგმა (დაწყებით საფეხურზე) - 3-5 ქულა
- სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის შესახებ ინფორმაცია ძალზედ მწირია - 1-2 ქულა
- სამუშაო დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი - 0 ქულა

III. ორი საცდელი გაკვეთილის მომზადება-ჩატარება, შესაბამისი სასწავლო რესურსების (მათ შორის, ელექტრონული) მომზადება მისი ეფექტური გამოყენება, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი - 0-20 ქულა (10-10 ქულა)

საცდელი გაკვეთილის ჩატარების წინაპირობა-ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმა კონსპექტის შემუშავება, ვიზირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ.

გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმები:

- გაკვეთილზე გამოყენებულ საწავლების მეთოდები ეფექტურად არის განსაზღვრული - 2 ქულა
- გაკვეთილზე გამოყენებული თვალსაჩინოება ეფექტურია - 2 ქულა
- გაკვეთილზე დრო რაციონალურად არის განაწილებული - 3 ქულა
- გაკვეთილის მიზნისა და გაკვეთილზე მიღწეული შედეგების თანხვედრამიღწეულია - 3 ქულა

(ჯამში 10 ქულა)

IV. მოსწავლეზე დაკვირვება და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათების მომზადება - 0-10 ქულა

- მოსწავლეზე დაკვირვება და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება ყველა კრიტერიუმზე დაყრდნობით სრულად არის წარმოდგენილი 8- 10 ქულა
- მოსწავლეზე დაკვირვება და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება წარმოდგენილია კრიტერიუმების ძირითადი რაოდენობის მიხედვით 5- 7 ქულა
- მოსწავლეზე დაკვირვება და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება წარმოდგენილია კრიტერიუმების მცირე რაოდენობის მიხედვით 3- 6 ქულა

- მოსწავლეზე დაკვირვება და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება ბუნდოვანია, არ იძლევა მოსწავლის შესახებ ინფორმაციას **1-3 ქულა**
- სამუშაო დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი - **0 ქულა**

V. კლასის დამრიგებლის მიერ გასულ სემესტრში გაწეული სამუშაოს ანალიზი გეგმის მიხედვით - 0-10 ქულა

- დამრიგებლის მიერ გაწეული სამუშაო გააზრებულია, ანალიზი სრულად არის წარმოდგენილი **8- 10 ქულა**
- დამრიგებლის მიერ გაწეული სამუშაო გააზრებულია, თუმცა წარმოდგენილი ანალიზი არასრულყოფილია **6- 7 ქულა**
- დამრიგებლის მიერ გაწეული სამუშაო არ არის გააზრებული, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ანალიზი **4- 5 ქულა**
- დამრიგებლის მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში ძალზედ ბუნდოვანია **1- 2 ქულა**
- სამუშაო დოკუმენტი არა არის წარმოდგენილი - **0 ქულა**

VI. აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით- 0-20 ქულა

მისი კრიტერიუმებია;

- აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით თემის შერჩევა - **2 ქულა;**
- აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით დაგეგმვა - **2 ქულა;**
- აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება - **4 ქულა;**
- აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით ჩასატარებლად ეფექტური რესურსების შერჩევა-მომზადება - **2 ქულა;**
- აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით ორგანიზებულად ჩატარება - **6 ქულა;**

- აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით ჩასატარებლად საჭირო რესურსების მიზანმიმართულად გამოყენება - 2 ქულა;
- აღმზრდელობითი ღონისძიების / სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით ეფექტურად შეჯამება - 2 ქულა

VII. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების ორგანიზება/ჩატარება - 0-10 ქულა

აღმზრდელობითი ღონისძიების ჩატარების კრიტერიუმებია;

- აღმზრდელობითი ღონისძიების თემის შერჩევა - 1 ქულა;
- აღმზრდელობითი ღონისძიების დაგეგმვა - 2 ქულა;
- აღმზრდელობითი ღონისძიების საორგანიზაციო საკითხების მოგვარება - 2 ქულა;
- აღმზრდელობითი ღონისძიების ჩასატარებლად ეფექტური რესურსების შერჩევა- მომზადება - 2 ქულა;
- აღმზრდელობითი ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარება - 1 ქულა;
- აღმზრდელობითი ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო რესურსების მიზანმიმართულად გამოყენება - 1 ქულა;
- ღონისძიებების ეფექტურად შეჯამება - 1 ქულა

VIII. პრაქტიკის/პორტფოლიოს ანგარიში/დაცვა - 0-10 ქულა

სტუდენტი ვალდებულია პედაგოგიური პრაქტიკიდან უნივერსიტეტში დაბრუნებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა დაცვისათვის წარმოადგინოს პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისი შემდეგი დოკუმენტაცია:

- პედაგოგიური პრაქტიკის დღიური;
- აღმზრდელობითი ღონისძიების გეგმა-კონსპექტი;
- ჩატარებული გაკვეთილების გეგმა-კონსპექტები
- სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის სპეციფიკის გაცნობის, სასკოლო-სასწავლო გეგმის (დაწყებით საფეხურზე) ანალიზის მიხედვით შესრულებული დოკუმენტი
- მოსწავლეზე დაკვირვების საფუძველზე მომზადებული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება.
- კლასის დამრიგებლის მიერ გასულ სემესტრში გაწეული სამუშაოს ანალიზის ამსახველი დოკუმენტი გეგმის მიხედვით

- აღმზრდელობითი ღონისძიებების/სასწავლო პროექტის მომზადება-ჩატარების (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით) ამსახველი დოკუმენტაცია

სტუდენტი ვალდებულია დაიცვას და მოახდინოს პრაქტიკის პროცესში შექმნილი ანგარიშის/პორტფოლიოს პრეზენტაცია.

შეფასების კრიტერიუმებია:

10-9 ქულა: სტუდენტისმიერ ძალიან კარგადაა წარმოებული პორტფოლიო. ყველა დოკუმენტი სრულყოფილადაა წარმოდგენილი და ძალიან კარგადაა გაფორმებული; სტუდენტი პედპრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ მსჯელობს მაქსიმალურად დამაჯერებლად, შინაარსობრივად და ენობრივად გამართულად. კითხვებზე პასუხობს კარგად, ლაკონურად და დამაჯერებლად. ზუსტად იცავს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს. ძალიან კარგად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან და ავლენს კომუნიკაციის მაღალ უნარს.

8-7 ქულა: სტუდენტისმიერ კარგადაა წარმოებული პორტფოლიო. ყველა დოკუმენტია წარმოდგენილი და კარგადაა გაფორმებული; სტუდენტი პედპრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ მსჯელობს დამაჯერებლად, შინაარსობრივად და ენობრივად გამართულად. სტუდენტი მასალას გადმოცემს დამაჯერებლად, შინაარსობრივად და ენობრივად გამართულად. კითხვებზე პასუხობს ლაკონურად და დამაჯერებლად. იცავს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს. არ უჭირს აუდიტორიასთან კონტაქტი და ავლენს კომუნიკაციის კარგ უნარს.

6-5 ქულა: სტუდენტისმიერ დამაკმაყოფილებლადაა წარმოებული პორტფოლიო. ყველა დოკუმენტია წარმოდგენილი და თითოეული მათგანი დამაკმაყოფილებლადაა გაფორმებული გაფორმებული; სტუდენტს შეუძლია პედპრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ მსჯელობა, კითხვებზე პასუხობს უმნიშვნელო შეცდომებით. ავლენს აუდიტორიასთან კომუნიკაციის დამაკმაყოფილებელ უნარს.

4-3 ქულა: სტუდენტისმიერ წარმოდგენილია პორტფოლიო, თუმცა არა სრულყოფილადაა. სტუდენტი პედპრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ საუბრობს ნაკლებ დამაჯერებლად, პრეზენტაცია შინაარსობრივად და ენობრივად ნაკლებად გამართულად. კითხვებზე პასუხობს არსებითი ხარვეზებით. არ იცავს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს. უჭირს აუდიტორიასთან კონტაქტი.

2-1 ქულა: სტუდენტისმიერ წარმოდგენილი პორტფოლიო არ არის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით წარმოებული და დოკუმენტაციის მხოლოდ ნახევარია წარმოდგენილი. სტუდენტი პედპრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ საუბრობს არსებითი ხარვეზებითა და შეცდომებით. კითხვებზე პასუხობს გარკვეული უზუსტობებით. არ იცავს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს. ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან.

0 ქულა: სტუდენტმა არ წარმოადგინა პორტფოლიო და არ გამოვიდა დაცვაზე.

მოსწავლის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათების სქემა

1. ზოგადი მონაცემები

გვარი, სახელი, მამის სახელი

ასაკი

სქესი

სკოლა, კლასი

სასწავლო წარმატება

2. ოჯახური პირობები

მშობელთა და ოჯახის სხვა უფროს წევრთა სოციალური მდგომარეობა, მათი განათლებისა და კულტურის დონე, ოჯახის მატერიალური მდგომარეობა და მისი გავლენა მოსწავლეზე.

მოსწავლის მდგომარეობა ოჯახში:

ა) მოსწავლის დამოკიდებულება მშობლებისადმი (პატივს სცემს მათ, ეშინია მათი და ემორჩილება მათ ნებას, სკეპტიკურად უყურებს მათ, აშკარად უარყოფს მათ ავტორიტეტს);

ბ) ვინ ზრუნავს მოსწავლის აღზდაზე და განათლებაზე, ვინ ახდნს ყველაზე მეტ გავლენას და როგორია იგი, რომელ მხარეებს ექცევა უპირატესი ყურადღება, რა მეთოდები გამოიყენება (წახალისება, სასჯელი).

გ) აქვს თუ არა მოსწავლეს შრომისა და დასვენების რეჟიმი, საშინაო დავალებების შესრულების პირობები.

3. მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა

ა) ფიზიკური განვითარება ასაკთან მიმართებაში (მასზე მაღალია თუ დაბალი) ჯანმრთელია თუ არა, ხომ არა აქვს რაიმე ქრონიკული დაავადება;

ბ) ხომ არა აქვს ფიზიკური ნაკლი და თუ აქვს რამდენად იგრძნობა მისი გავლენა მოსწავლის პიროვნების ფორმირებაზე. მოსწავლეების დამოკიდებულება მისი ფიზიკური ნაკლის მიმართ;

გ) რომელი სპორტული სექციის წევრია და საერთოდ მისდევს თუ არა სპორტის რომელიმე სახეობას, ღებულობს თუ არა მონაწილეობას სპორტულ შეჯიბრებებში;

დ) მოსწავლის ფიზიკური ძალა ახდენს თუ არა გავლენას მის ქცევაზე (ბოროტად იყენებს ძალას, დათრგუნულია ფიზიკური სისუსტის გამო).

4. მოსწავლის ადგილი და როლი კლასში

ა) რა მდგომარეობა უჭირავს მოსწავლეს კლასში აქტიურიწამყვანი, თუ პასიური. რით არის განპირობებული ეს მდგომარეობა (სასწავლო წარმატებით, ფიზიკური ძალით, გარეგანი მონაცემებით და ა. შ.);

ბ) რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს კლასის საერთო საქმიანობის მიმართ (პატივს სცემს და ხელს უწყობს საერთო საქმეს, თუ ხელს უშლის). რამდენად აქტიურად არის ჩართული თავისი კლასის ცხოვრებაში, მონაწილეობს თუ არა წრეებში და საერთოდ მისი მოვალეობანი ამ მხრივ;

გ) დამოკიდებულება მისსივე და საწინააღმდეგო სქესის თანაკლასელთა მიმართ;

დ) მოსწავლის დამოკიდებულება საკლასო ინვენტარისადმი;

ე) მოცემული მოსწავლე ექვემდებარება თუ არა კლასის, კოლექტივის გავლენას.

5. მოსწავლის მდგომარეობას კოლაში

ა) მოსწავლის დამოკიდებულება მასწავლებლისადმი, დირექციის წარმომადგენლისადმი;

ბ) რით არის განსაზღვრული ამ დამოკიდებულების ხასიათი (მასწავლებლის ავტორიტეტით, მდგომარეობით, გარეგანი მხარეებით და სხვა);

გ) აქვს თუ არა მოსწავლეს ურთიერთობა პარალელური ან სხვა კლასების მოსწავლეებთან, როგორია ეს ურთიერთობა და რითაა იგი განპირობებული;

დ) როგორია მოსწავლის დამოკიდებულება საკლასო და სასკოლო ღონისძიებების მიმართ, საერთოდ საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში იჩენს თუ არა ინიციატივას.

6. მოსწავლის პიროვნების ზოგადი დახასიათება

- აქვს თუ არა პატრიოტიზმის გრძნობა;
- თვითშეფასება, პატივმოყვარეობა, პირდაპირობა, თავმდაბლობა, ახლის გრძნობა, ინიციატურობა, ოპტიმიზმი და კომუნიკაბელურობა;
- როგორ აქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა. ახერხებს თუ არა საკუთარი ინტერესებისა და სურვილების შეხამებას კოლექტივის ინტერესებთან და გადაწყვეტილებებთან;
- საერთო დისციპლინირებულობა და შემსრულებლობა, შინაგანი დარწმუნებულობა ქცევის წესების შესრულებისას. თავშეკავებულობა, საერთო კულტურა;
- რა იტაცებს მოსწავლეს, როგორი პიროვნება ან ლიტერატურული გმირი მოსწონს, რომელ გმირში, ან პიროვნებაში ხედავს თავის იდეალს;
- რა თავისებურებები მოსწონს ადამიანში, რა არ მოსწონს და რატომ;
- როგორი დამოკიდებულება აქვს თავის თანატოლებთან, უფროსებთან, მასწავლებლებთან;
- როგორია მოსწავლის ინტერესების სფერო, აქვს თუ არა ცოდნის შეძენის წყურვილი და საერთოდ შემეცნებითი ინტერესები (სწავლობს იმიტომ, რომ ევალება, თუ სწავლობს იმიტომ, რომ აინტერესებს სწავლა);
- როგორია ცალკეული საგნების მიმართ მოსწრება და მისი საერთო განვითარების დონე კლასის მოსწავლეებთან შედარებით. ცოდნის სიღრმე, სიმტკიცე, სისტემურობა, მისი გამოვლინება წერით სამუშაოებში, ნაკითხობა, რა წიგნებს კითხულობს; დამოკიდებულება სასწავლო მოვალეობათა მიმართ გაკვეთილის დროს; დამოკიდებულება აკადემიური შეფასებისადმი, მოვალეობის გრძნობა და პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, სწავლის

მოტივი დამოკიდებულება ამხანაგებისადმი, ცრუ ამხანაგობის ფორმებისადმი დამოკიდებულება.

7. მოსწავლის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი

საერთო გონებრივი განვითარების დონე

○ თავისი გონებრივი განვითარების დონით გამოირჩევა თუ არა კლასის საერთო ფონზე.

ნებისყოფის თავისებურებანი

○ აქვს თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობისა და მოქმედების უნარი. აქვს თუ არა მტკიცე გადაწყვეტილების მიღების უნარი, ხომ არ იჩენს მერყეობას გადაწყვეტილის შესრულებისას

○ რამდენად არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში და რამდენად მტკიცეა თავისი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მიზანსწრაფულობა, აქტიურობა, ინიციატივიანობა. აქვს თუ არა წინააღმდეგობათა გადალახვის, მიღებული გადაწყვეტილების შესრულების და შეცვლის უნარი. ამყოლია თუ ჯიუტი. რამდენად შესწევს უნარი დაიმორჩილოს თავისი იმპულსები.

ხასიათის თავისებურებანი

○ რა სახის მოთხოვნები, მიზნები, ინტერესები, მიდრეკილებები და მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ბავშვის ქცევას.

○ როგორია სხვებთან დამოკიდებულებაში, თავმდაბალია თუ ამაყი, ზედმეტ ეჭვინობას ხომ არ ავლენს.

○ მხიარულია თუ სევდიანი, უხეშია თუ თავაზიანი, ტკბილი მოსაუბრეა თუ მარტოობის მოყვარული.

○ რამდენად შესწევს უნარი გაიზიაროს სხვების მხიარულება და მწუხარება.

○ მტკიცე ხასიათისაა თუ არა, რამდენად თანმიმდევრულია დასახული ამოცანების შესრულების დროს.

○ ცდილობს თუ არა დაეხმაროს სხვებს, ასიამოვნოს და თბილი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს სხვებთან.

○ როგორ რეაგირებს სხვის წარმატებებზე, საუბრისას ხომ არ ცდილობს თავისი „მე“-ს სხვაზე მაღლა დაყენებას.

○ ინერტულია თუ მოძრავი, პასიურია თუ აქტიური, ინიციატივიანია თუ შემსრულებელი.

○ რამდენად მტკიცეა მისი სიტყვა, რამდენად სანდოა მისი დაპირება.

○ შეიმჩნევა თუ არა შინაგანი კონფლიქტი.

○ რამდენად შეესაბამება ერთმანეთს მის მიერ დასახული მიზანი და რეალური მოქმედება.

○ როგორ განიცდის თავის მდგომარეობას კლასში, ოჯახში, საზოგადოებაში.

ემოციური თავისებურებანი

- ტემპერამენტის ტიპი.
- ადვილად აღმოუცენდება გრძნობები თუ ძნელად.
- რამდენად დიდხანს გრძელდება აღმოცენებული გრძნობები.
- აქვს თუ არა აფექტური გამოვლინებები.
- როგორი ხასიათის გრძნობები სჭარბობს დადებითი თუ უარყოფითი.
- რომელი ხასიათის განცდას ავლენს სწავლის სტიმულად: წარმატებით გამოწვეულ სიხარულს, თუ წარუმატებლობის გამო წუხილს.
- შეიმჩნევა თუ არა ხანგრძლივი გულგატეხილობა რაიმე მიზეზის გამო.
- რამდენად ავლენს მორალურ, ინტელექტუალურ და ესთეტიკურ გრძნობებს.
- პირადი ესთეტიკა და გარეგნობა.

ყურადღების თავისებურებანი

- არის თუ არა მოსწავლე საერთოდ ყურადღებიანი გარემომცველი მოვლენების, საგნების, მეგობრების და სასწავლო საგნების მიმართ.
- ყურადღების რომელი სახე უფრო სჭარბობს აქტიური თუ პასიური.
- ადვილია თუ ძნელი ბავშვის ყურადღების გამოწვევა.
- ახერხებს თუ არა ყურადღების დიდხანს შეჩერებას ერთსა და იმავე საგანზე, შეუძლია თუ არა ყურადღების მიქცევა ერთდროულად რამდენიმე საგანზე.
- რა სახის მოვლენები, საგნები და სასწავლო მასალა უფრო იქცევა ბავშვის ყურადღებას
- მხოლოდ საინტერესოზე აჩერებს ყურადღებას თუ შეუძლია ყურადღების კონცენტრაცია არასაინტერესო მასალაზეც.
- რა ფაქტორები განსაზღვრავენ მოსწავლის ყურადღებას (მიზანი, შემეცნებითი ინტერესები, მუშაობის გარეგანი მხარე, თუ შედეგი და სხვა).

8. შესაძლო ღონისძიებანი მოსწავლის სასწავლო-საადამირობრივო მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით

- როდის, როგორი და ვინ უნდა გაუწიოს დახმარება მოსწავლეს სასკოლო კოლექტივმა, ოჯახმა, ცალკეულმა მასწავლებელმა თუ სხვა ვინმემ.
- რის გაკეთებას აპირებს კლასის დამრიგებელი.

არათვალსაჩინო შეზღუდულობის ნიშნები

ყურადღების დეფიციტი:

- უჭირს ყურადღების ერთ რამეზე კონცენტრირება, დავალების ბოლომდე შესრულება;
- ვერ ამჩნევს დეტალებს;
- ტოვებს შთაბეჭდილებებს, რომ არ ისმენს;
- ხტება ერთი აქტივობიდან მეორეზე;
- რეაგირებს უმნიშვნელო სტიმულებზე (მაგ., ქუჩაში სიგნალებზე);
- უჭირს ყურადღების მიზანმიმართული გადატანა ერთი აქტივობიდან მეორეზე;
- უჭირს ინსტრუქციის შესრულება;
- უჭირს სამუშაოს ორგანიზება.

ჰიპერაქტივობა:

- ბევრს მოძრაობს;
- შფოთავს, წუხს;
- უმიზეზოდ ამოდრავებს ხელებსა და ფეხებს;
- დაუკვიკითხავად ტოვებს მერხს.

იმპულსურობა:

- მოქმედებს დაუფიქრებლად;
- არ შეუძლია მოცდა, ჯერის დალოდება;
- ეჩრება სხვის საუბარში;
- პასუხს იძლევა კითხვის დამთავრებამდე.

მოტორული პრობლემები:

- არ უყვარს სპორტული თამაშები;
- მოუხერხებელია;
- ხშირად ეჯახება ბავშვებსა და საგნებს;
- იშვიათად დგას გამართული: ეყუდება კედელს ან რაიმე საყრდენს;
- არ ზის მერხთან გამართული, ხშირად წვება მერხზე ან ცურდება სკამიდან;
- არ უყვარს ხატვა;
- მოუხერხებლად უჭირავს ფანქარი;
- ხშირად ჩივის, რომ პასტა არ წერს;
- უჭირს ღილების, თასმის შეკვრა.

ემოციური პრობლემები:

- ადვილად ბრაზდება, ხშირად გაღიზიანებულია;
- აგრესიული და უხეშია თანატოლების მიმართ;
- ხშირად ეცვლაბა გუნებაგანწყობა;
- ძირითადად მოწყენილია;
- ხშირად იბუტება.

სწავლის პრობლემები:

- ამორჩევით სწავლოს საგნებს;
- ამჟღავნებს არათანაბრად განვითარებულ მოვლენებს.

კომუნიკაცია:

- თავს არიდებს ბავშვებთან ურთიერთობას;
- გარიყულია;
- უპირატესობას ანიჭებს მასზე პატარა ან უფროსი ასაკის ბავშვებთან თამაშს;
- კონფლიქტურია;
- მისი რეპლიკები ხშირად არაადეკვატურია, არ შეესაბამება სიტუაციას.

მეტყველება:

- თავს არიდებს საუბარს;
- კითხვებზე იძლევა მოკლე პასუხებს;
- მისი მეტყველება ძირითადად გაუგებარია;
- უშვებს გრამატიკულ შეცდომებს;
- ლაპარაკობს სტერეოტიპული ფრაზებით;
- აღენიშნება ექოლალიები: იმეორებს სხვის ნათქვამს;
- უჭირს ორაზროვანი ფრაზების, ხუმრობის, გადატანითი მნიშვნელობის სიტყვების გაგება;
- უჭირს თხრობა, ამბის თანმიმდევრული გადმოცემა;
- ლაპარაკობს ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა;
- ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ გისმენთ;
- უჭირს ინსტრუქციის, განსაკუთრებით მრავალსაფეხურიანი მითითებების შესრულება.

ქცევის პრობლემები:

- უჭირს წესების დაცვა, ინსტრუქციის შესრულება;
- აგრესიულია, ჩხუბობს ბავშვებთან;
- იწვევს ბავშვებს საჩხუბრად;
- ხშირად ჩივის, რომ ჩაგრავენ;
- იტყუება;
- მიზანმიმართულად აფუჭებს რაღაცეებს (ხევის წიგნს);
- უხეშობს უფროსებთან.

ფიზიკური პრობლემები:

- ხშირად იტკივებს მუცელს, თავს;
- მალე იღლებს;
- ხშირად ავადმყოფობს.

გაკვეთილის გეგმის ფორმა

<p>გაკვეთილის მთავარი თემა</p>	<p>გაკვეთილის მთავარი თემა შეიძლება განვსაზღვროთ: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიმართულებებისა და რეკომენდებული შინაარსის მიხედვით, სახელმძღვანელოს ან სხვა სასწავლო მასალის მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოხატული ინტერესების მიხედვით. უმჯობესია, გაკვეთილის თემა შეკითხვის სახით ჩამოაყალიბოთ. შეკითხვის დასმა ხელს უწყობს ცნობის მოყვარეობის გაღვივებას და კვლევა-ძიებისკენ გვიბიძგებს.</p>
<p>სწავლების საფეხური</p>	<p>რომელ კლასში არიან მოსწავლეები?</p>
<p>მოსწავლეთა პროფილი</p>	<p>რამდენი მოსწავლეა კლასში? არის თუ არა განსაკუთრებული მიდგომების საჭიროების მქონე მოსწავლეები (შეზღუდული შესაძლებლობის, ძნელად აღსაზრდელი, სასწავლო პროგრამაში ჩამორჩენილი ბავშვები, რომლებისთვისაც სწავლების ჩვეულებრივი ტემპი მიუღებელია) კლასში?</p>
<p>გაკვეთილის მნიშვნელობა / აქტუალობა</p>	<p>რით არის ეს გაკვეთილი აქტუალური? როგორ შეუწყობს ეს გაკვეთილი ხელს მოსწავლეებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებაში? როგორ დაეხმარება ეს გაკვეთილი მოსწავლეებს წინარე ცოდნის გამოყენებაში? მომდევნო საკითხებზე დინამიურად გადასვლაში? ცოდნის ინტეგრირებაში?</p>
<p>გაკვეთილის მიზნები და შედეგები</p>	<p>რა კონკრეტულ ცოდნას და ეუფლებიან მოსწავლეები? რომელ კონკრეტულ უნარებს განივითარებენ და რომლების გამოყენებაში გაიწაფებიან მოსწავლეები? რა დამოკიდებულებები ჩამოუყალიბდებათ მოსწავლეებს? ეროვნული სასწავლო გეგმის რომელ მოთხოვნებს/სტანდარტებს პასუხობს გაკვეთილი?</p>
<p>წინასწარი ცოდნა</p>	<p>რა იციან ან უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა იმისათვის, რომ ამ გაკვეთილის ამოცანები წარმატებით შეასრულონ?</p>

<p>შეფასების საგანი და პროცედურები</p>	<p>როგორ დავადგენ მოსწავლეთა წარმატებას? რა იქნება დაკვირვებისა და ანალიზის ობიექტი შეფასებისას (ზეპირი პრეზენტაცია, მსჯელობა, წერიტი სამუშაო და სხვ.)? რა ტიპის შეფასებას (განმავითარებელი, განმსაზღვრელი, ნდივიდუალური, ჯგუფური...) გამოვიყენებ? რა კრიტერიუმებით შეფასდებიან მოსწავლეები?</p>
<p>სასწავლო მასალა და ტექნიური რესურსები</p>	<p>რა მასალაა საჭირო? რომელი წიგნებით ვისარგებლოთ? რამდენად შეესაბამება შერჩეული ტექსტები მოსწავლეთა კითხვის უნარებს? ხომ არ შემიძლია საკითხის დამუშავებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება? როგორ? რა ტექნიკა და დამხმარე ინსტრუმენტები დამჭირდება (მაგ., კომპიუტერების რაოდენობა, პროექტორი, კოლბა და ა.შ.)? რა კომპიუტერული პროგრამა (მაგ., MS Word, PowerPoint და ა.შ.) დამჭირდება?</p>
<p>გაკვეთილის მსვლელობა / საკლასო მენეჯმენტი</p>	<p>რა პედაგოგიური ცოდნა დამჭირდება? რა აქტივობებს განვახორციელებ სასწავლო მიზნის მისაღწევად? რა დროს დავუთმობ თითოეულ აქტივობას? როგორ მოვახერხებ მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევას, თემაზე ფოკუსირებას და წინარე ცოდნის გააქტიურებას? როგორ მოვახერხებ ცოდნის კონსტრუირების ფასილიტაციას? როგორ მოვახერხებ ნასწავლის გაერთიანებასა და განმტკიცებას? როგორ მოვახდენ მოსწავლეების ორგანიზებას (ინდივიდუალური/წყვილებში/ჯგუფებში/მთელ კლასთან მუშაობა).</p>

გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი

A	გამოწვევა	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო მიზნისა და შესაბამისი მოლოდინების განსაზღვრა; • შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება; • წინარე ცოდნის არაფორმალური შეფასება, არასწორი წარმოდგენების გამოკვეთა; • პოზიტიური განწყობის შექმნა; • ყურადღების კონცენტრირება; • ინტერესისა და სწავლის მოტივაციის გაღვივება
B	შინაარსის რეალიზება	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო მასალის გაცნობა; • ინფორმაციის მოძიება და მუშავება; • ახალი ცოდნის კონსტრუირება; • ძირითადი საკითხებისა და ქვესაკითხების გამოკვეთა; • გაკვეთილისადმი პიროვნული; კავშირებისგამოკვეთა; • შეკითხვების დასმა; • მოლოდინების გადახედვა და რეალურ პროცესთან შედარება
C	რეფლექსია	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი იდეების შეჯამება; • ჩამოყალიბებული შეხედულებების გაზიარება; • მიღებული ცოდნისა და სარგებლიანობის განსაზღვრა; • ცოდნის გაღრმავებისათვის საჭირო ახალი შეკითხვების ჩამოყალიბება; • სასწავლო პროცესში საკუთარი მონაწილეობის შეფასება

5. „საჯარო მმართველობისა“ და „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის სილაბუსების შემუშავების ინსტრუქცია

პრაქტიკის სილაბუსში უნდა იყოს მითითებული:

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

კურსის დასახელება:

საწავლო პრაქტიკის სტატუსი:

სასწავლო პრაქტიკის განმახორციელებელი:

პრაქტიკის კოდი:

პრაქტიკის ფორმატი:

საწავლო პრაქტიკის სამიზნე ჯგუფი:

საწავლო პრაქტიკის აღწერა:

საწავლო პრაქტიკის მიზანი:

საწავლო პრაქტიკის ხანგძლივობა:

სასწავლო პრაქტიკის შესწავლის წინაპირობები:

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება:

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

დასკვნის უნარი:

კომუნიკაციის უნარი:

სწავლის უნარი:

ღირებულებები:

სტუდენტის (პრაქტიკანტი) მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების თემატიკა (საწავლო კურსის შინაარსი):

კვირების მიხედვით გაწერილი თემატიკა, საათების რაოდენობა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

პრაქტიკის ანგარიშის წარდგენა:

შეფასების სისტემა:

შეფასების კომპონენტები :

პრაქტიკული მეცადინეობები - 30 ქულა

დასკვნითი გამოცდა - 70 ქულა

პრაქტიკული მეცადინეობები - 30 ქულა, აფასებს პრაქტიკაზე დასწრების/მონაწილეობის/ჩართულობის აქტივობას.

პრაქტიკული მეცადინეობის შეფასების კრიტერიუმები:

ქულები	აღწერა
20-30	სტუდენტი ესწრება ყველა მეცადინეობას, აქტიურად მონაწილეობს და ჩართულია ყველა პროცესში. იყენებს მიღებულ ცოდნას მაქსიმალურად პრაქტიკული მეცადინეობისას
10-20	სტუდენტი არ ესწრება ყველა მეცადინეობას, შესაბამისად აქტიურად არ მონაწილეობს და არ არის ჩართულია ყველა პროცესში. სრულად ვერ იყენებს მიღებულ ცოდნას მაქსიმალურად პრაქტიკული მეცადინეობისას
0-10	სტუდენტი ნაწილობრივ დაესწრო მეცადინეობას, ნაწილობრივია ჩართულია პროცესში. ვერ იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკული მეცადინეობისას

დასკვნითი გამოცდის შეფასება: - (სავალდებულო კომპონენტი) დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი პროფესიული პრაქტიკის საქმიანობებს წარადგენს.

პრაქტიკის ანგარიშის და მისი საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია:

1. თავფურცელი და რეზიუმე – 5 ქულა
2. დაწესებულების აღწერა – 10 ქულა
3. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი – 30 ქულა
4. დასკვნები და რეკომენდაციები – 10
5. დანართი – 5 ქულა
6. პრეზენტაცია – 10

შეფასების კრიტერიუმები:

თავფურცელი და რეზიუმე – შეფასების კრიტერიუმები:

4-5 ქულა: თავფურცელი გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად; რეზიუმე სრულად ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს.

2-3 ქულა: თავფურცელი გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად; რეზიუმე უმნიშვნელო ხარვეზებით ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს.

1-2 ქულა: თავფურცელი გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად; რეზიუმე არასრულად ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს.

0 ქულა: თავფურცელი არ არის გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად; რეზიუმე ძალიან ბუნდოვანია ან არაა მოცემული.

დაწესებულების აღწერის შეფასების კრიტერიუმები:

8-10 ქულა: სტუდენტს დაწესებულების აღწერა წარმოდგენილი აქვს ძალიან კარგად, იცის დაწესებულების დებულება, ძალიან კარგად აქვს ჩამოყალიბებული დაწესებულების ფუნქციები, სტრუქტურა და კომპეტენციები.

5-7 ქულა: სტუდენტს დაწესებულების აღწერა წარმოდგენილი აქვს კარგად, იცის დაწესებულების დებულება, სრულად აქვს ჩამოყალიბებული დაწესებულების ფუნქციები, სტრუქტურა და კომპეტენციები.

4-6 ქულა: სტუდენტს დაწესებულების აღწერა წარმოდგენილი აქვს არასრულად, ნაწილობრივ იცის დაწესებულების დებულება, არასრულად აქვს ჩამოყალიბებული დაწესებულების ფუნქციები, სტრუქტურა და კომპეტენციები.

1-3 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დაწესებულების აღწერა ბუნდოვანია.

0 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დაწესებულების აღწერა მოთხოვნების შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები:

26-30 ქულა: სტუდენტის მიერ დღიურში აღწერილი განხორციელებული საქმიანობა ძალიან კარგად შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს; ზუსტად და ამომწურავადაა გადმოცემული ყველა ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ; შესაბამისი მაგალითების მოშველიებით აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს (განვითარებულ კომპეტენციებს); ტექსტი ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული. საფუძვლიანად აქვს ათვისებული, როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა, საკანონმდებლო მასალა, რის გამოც ზედმიწევნით კარგად ფლობს პრაქტიკით გათვალისწინებულ მასალას, ძალიან კარგად ფლობს ტერმინოლოგიას. სტუდენტი ძალიან კარგად აყალიბებს დასკვნებს და აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას;

21-25 ქულა: სტუდენტის მიერ დღიურში აღწერილი განხორციელებული საქმიანობა კარგად შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს; შესაბამისი მაგალითების მოშველიებით

აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს (განვითარებულ კომპეტენციებს); ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა, თუმცა ვერ ფლობს დამატებით ლიტერატურას და ამიტომ საკითხებს უმნიშვნელო ხარვეზებით პასუხობს, კარგად ფლობს ტერმინოლოგიას. სტუდენტი კარგად აყალიბებს დასკვნებს და აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას;

16-20 ქულა: სტუდენტის მიერ დღიურში აღწერილი განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს; შესაბამისი მაგალითების მოშველიებით გარკვეული ხარვეზებით, აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს (განვითარებულ კომპეტენციებს), მაგრამ მნიშვნელოვან და არსებით შეცდომებს არ უშვებს. ტერმინოლოგია არ ეშლება.

11-15 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ამომწურავადაა გადმოცემული ყველა ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ; ტერმინოლოგია ძირითადად დაცულია. სტუდენტი აყალიბებს დასკვნებს და აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას;

6-10 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური დამაკმაყოფილებელია; დამაკმაყოფილებლადაა გადმოცემული ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ; საშუალოდ ფლობს ტერმინოლოგიას. სტუდენტი დასკვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკის მიმდინარეობის შეფასების დროს უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს;

3-5 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ არაამომწურავადაა გადმოცემული; შეინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; სტუდენტი არასაკმარისად ფლობს უჭირს დასკვნების ჩამოყალიბება და პრაქტიკის მიმდინარეობის შეფასება;

1-2 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური ვერ აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას;

0 ქულა: დღიური მოთხოვნების შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

დასკვნებისა და რეკომენდაციების შეფასების კრიტერიუმები:

9-10 ქულა: სტუდენტი ძალიან კარგად აყალიბებს დასკვნებს და აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას; წარმოდგენილი აქვს რეკომენდაციები.

7-8 ქულა: სტუდენტი კარგად აყალიბებს დასკვნებს და აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობას; წარმოდგენილი აქვს რეკომენდაციები.

5-6 ქულა: სტუდენტი დასკვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკის მიმდინარეობის შეფასების დროს უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს; წარმოდგენილი არა აქვს რეკომენდაციები.

3-4 ქულა: სტუდენტი დასკვნების ჩამოყალიბებისას უშვებს შეცდომებს.

1-2 ქულა: სტუდენტს აქვს მცდელობა დასკვნების ჩამოყალიბებისა, თუმცა ვერ მიყავს ბოლომდე.

0 ქულა: სტუდენტი ვერ აყალიბებს დასკვნებს.

დანართის შეფასების კრიტერიუმები:

4-5 ქულა: წარმოდგენილი დანართები რელევანტურია; ინფორმაცია თანმიმდევრულად და ნათლადაა გადმოცემული.

2-3 ქულა: წარმოდგენილი დანართები გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად; ინფორმაცია თანმიმდევრულად და ნათლადაა გადმოცემული.

1-2 ქულა: დანართები გაფორმებულია ხარვეზებით, ინფორმაცია არასრული.

0 ქულა: დანართები არ არის წარმოდგენილი.

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

9-10 ქულა: სტუდენტის მიერ ძალიან კარგადაა გაფორმებული პრაქტიკის ანგარიში; სტუდენტი პრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ მსჯელობს მაქსიმალურად დამაჯერებლად, შინაარსობრივად და ენობრივად გამართულად. კითხვებზე პასუხობს კარგად, ლაკონურად და დამაჯერებლად. ზუსტად იცავს პრეზენტაციისათვის

განკუთვნილ დროს. ძალიან კარგად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან და ავლენს კომუნიკაციის მაღალ უნარს.

7-8 ქულა: სტუდენტის მიერ კარგადაა წარმოებული პრაქტიკის ანგარიში. სტუდენტი პრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ მსჯელობს დამაჯერებლად, შინაარსობრივად და ენობრივად გამართულად. სტუდენტი მასალას გადმოცემს დამაჯერებლად, შინაარსობრივად და ენობრივად გამართულად. კითხვებზე პასუხობს ლაკონურად და დამაჯერებლად. იცავს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს. არ უჭირს აუდიტორიასთან კონტაქტი და ავლენს კომუნიკაციის კარგ უნარს.

5-6 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილია პრაქტიკის ანგარიში, მაგრამ დამაკმაყოფილებლადაა გაფორმებული; სტუდენტს შეუძლია პრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ მსჯელობა, კითხვებზე პასუხობს უმნიშვნელო შეცდომებით. ავლენს აუდიტორიასთან კომუნიკაციის დამაკმაყოფილებელ უნარს.

3-4 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილია პრაქტიკის ანგარიში, თუმცა არა სრულყოფილად. სტუდენტი პედპრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ საუბრობს ნაკლებ დამაჯერებლად, პრეზენტაცია შინაარსობრივად და ენობრივად ნაკლებად გამართულად. კითხვებზე პასუხობს არსებითი ხარვეზებით. არ იცავს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს. უჭირს აუდიტორიასთან კონტაქტი.

2-1 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიში არ არის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით წარმოებული. სტუდენტი პრაქტიკაზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ საუბრობს არსებითი ხარვეზებითა და შეცდომებით. კითხვებზე პასუხობს გარკვეული უზუსტობებით. არ იცავს პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს. ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან.

0 ქულა: სტუდენტმა არ წარმოადგინა პრაქტიკის ანგარიში და არ გამოვიდა დაცვაზე.

გამოცდის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტი უფლებამოსილია მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მოახდინოს ხელახლა პროფესიული პრაქტიკის გავლის შემდეგ წარდგენა და იმავე პროცედურით გაიტანოს ის კომისიის მუშაობის პერიოდში.

საბოლოო შეფასების აღწერა:

ლიტერატურა:

დანართები:

დანარი №1

პრაქტიკის ანგარიშის თავფურცელი - ნიმუში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ფაკულტეტი

სპეციალობა

პრაქტიკის ანგარიში

პრაქტიკის განხორციელების ადგილი:

პრაქტიკის ვადები:

სტუდენტის სახელი და გვარი:

პრაქტიკის ხელმძღვანელი:

პრაქტიკის რეზიუმე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

სტუდენტი

(გვარი, სახელი)

ფაკულტეტი

სპეციალობა

კურსი

პრაქტიკის ადგილი

პრაქტიკის დასაწყისი _____ 201__ წ.

პრაქტიკის დასასრული _____ 201__ წ.

პრაქტიკის დაცვა _____ 201__ წ.

ფაკულტეტის დეკანი:

6. „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებული მინიმალური მოთხოვნები

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.

საბაკალავრო ნაშრომის ფორმატი გულისხმობს სტუდენტის მიერ კვლევისა და ანალიზის თემის შერჩევას, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევას, მასთან კონსულტირებასა და დამოუკიდებელ მუშაობას, საბაკალავრო ნაშრომის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და კრიტიკულ ანალიზს.

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სტუდენტს განუვითაროს დამოუკიდებელი მუშაობის, მეცნიერული ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის უნარები, საშუალება მისცეს მას ჩამოაყალიბოს, წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოახდინოს არსებული თეორიებისა და მიდგომების შედარება საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

საბაკალავრო ნაშრომის თემას და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი. საბაკალავრო ნაშრომის თემა შეირჩევა სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მე-8 სემესტრის განმავლობაში, ხოლო მისი დაცვა უნდა განხორციელდეს მერვე სემესტრის დასასრულს.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შედეგად სტუდენტი მიიღებს არჩეული თემის ირგვლივ ღრმა თეორიულ ცოდნას, განივითარებს ინფორმაციის მოძიების, მისი კრიტიკული და შედარებითი ანალიზის უნარს.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულება წარმოაჩენს სტუდენტის მზაობას პროფესიულ თემაზე მოამზადოს და არგუმენტირებულად დაიცვას ნაშრომი, გამოავლენს მის მიერ წერილობითი ნაშრომის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებისა და პრეზენტაციის ჩატარებისათვის აუცილებელ უნარებს, საფუძველს ჩაუყრის სტუდენტისათვის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემდგომში სამეცნიერო კვლევის ჩატარების უნარების გამომუშავებას.

საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 8000 და არაუმეტეს 9 000 სიტყვისა, გაფორმებული წინამდებარე წესის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სასემინარო ნაშრომის დადებით შეფასებას (31-50 ქულამდე), მისი შინაარსის გათვალისწინებით, ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომი ხელმძღვანელი, ხოლო საჯარო დაცვის (20-50 ქულამდე) შეფასებას ახდენს კომისია, რომელიც შედგება ფაკულტეტის დეკანის მიერ აკადემიური პერსონალიდან შერჩეული პირებისაგან.

საბაკალავრო ნაშრომის და მისი საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია:

- ნაშრომის შინაარსი: თანამიმდევრული მსჯელობა, არგუმენტირებული დასკვნები - 20 ქულა;
- ინფორმაციის მოძიება, მისი შესწავლის სიღრმისეულობა, კრიტიკული და შედარებითი ანალიზი - 10 ქულა;
- პრობლემების ხედვა და შეფასება - 10 ქულა;
- ნაშრომის ენა და სტილი, ბიბლიოგრაფიის მითითების სისწორე - 10 ქულა.
- ზეპირი პრეზენტაციის ხარისხი - 20 ქულა;
- დასმულ კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და სიღრმისეულობა - 30 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ.

საბაკალავრო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე სტანდარტული შრიფტებით: Sylfaen, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი.

საბაკალავრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. საბაკალავრო ნაშრომი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ-ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ-ით.

საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

საბაკალავრო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნეს ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან

საბაკალავრო ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი საბაკალავრო ნაშრომის ბოლოს.

საბაკალავრო ნაშრომში სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული

ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

საბაკალავრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები

საბაკალავრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ტიტულის გვერდი;
- ბ. შინაარსი;
- გ. ძირითადი ტექსტი:
 - გ.ა. შესავალი;
 - გ.ბ. შედეგები და მათი განსჯა;
 - გ.გ. დასკვნა.
- დ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

საბაკალავრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ცხრილების ნუსხა;
- ბ. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა;
- გ. დანართები.

საბაკალავრო ნაშრომის შესავალი ნაწილი

საბაკალავრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს საბაკალავრო ნაშრომის დასახელებას, სტუდენტის გვარს, სახელს და ტექსტს „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, „ზუგდიდი, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც შესრულდა საბაკალავრო ნაშრომი.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს (შინაარს). ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.

საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი

საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიწყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას.

საბაკალავრო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნეს ნაშრომში დასმული პრობლემის აქტუალობა. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია საბაკალავრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

საბაკალავრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნეს მოკლედ და ლაკონურად.

საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი სტილი:

ა. სტატია: გვარი ინიციალი. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწყისი, დასასრული (მაგ.: 1. მაჭავარიანი ს., უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, გვ. 186-213.).

ბ. წიგნი:

ბ.ა. ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ. დასაწყისი–დასასრული (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 68-86.).

ბ.ბ. მთლიანი წიგნის მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ. (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 379.).

გ. ინფორმაციის გლობალური ქსელი: ვებ-გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

(მაგ.: 1. http://untreaty.un.org/ilc/teksts/instruments/English/draft%2520articles/74_1996.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 5.03.2011.).

ლიტერატურის ნუსხაში გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად, სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს – 1, აზრებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი, ხოლო შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

საბაკალავრო ნაშრომის არაუცილებელი შემადგენელი ნაწილები

თუ საბაკალავრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს საბაკალავრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აზრები, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „“, „–“, „_“.

ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნეს დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ-თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.

ცხრილები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

თუ საბაკალავრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს საბაკალავრო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.

საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნეს მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა საბაკალავრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში საბაკალავრო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.